საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 8 (2121) | სამშაბათი, 16 იანვარი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოფიციალური ფოსტა

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს — საქართველოს პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ,

მსურს მადლობა მოგახსენოთ ჩემი 1995 წლის 28 ივლისის წერილზე თქვენი თავაზიანი პასუხისათვის. წერილი ეხებოდა სოციალური განვითარების საკითხებზე მსოფლიოს უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებულ დეკლარაციას და მოქმედების პროგრამას. კმაყოფილებით აღვიქვი მრავალი სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურის მიერ მოწერილი პასუხები, რომლებიც მოწმობენ, რომ შეხვედრაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიზნით უკვე გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები სახელმწიფოებრივ დონეზე.

კოპენჰაგენში მიღებული დეკლარაციის თავში, რომლის სათაურია „განაცხადი 2", ყოველმა სახელმწიფომ ივალდებულა, რაც შეიძლება სწრაფად ჩამოეყალიბებინა თავისი პოლიტიკა მიმართული საყოველთაო სიღატაკის მნიშვნელოვანი შემცირებისაკენ და განესაზღვრა ვადა, რომლისთვისაც, ეროვნული კონტექსტის გათვალისწინებით, აღმოფხვრიდა უკიდურეს სიღატაკეს. მადლობელი ვიქნებოდი, თუ მივიღებდი თქვენგან ინფორმაციას ეროვნული ინიციატივებისა და სხვა პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც შეეხებოდნენ ამ განაცხადის განხორციელებას.

1996 წლის გამოცხადება სიღატაკის აღმოფხვრის საერთაშორისო წლად მოგვცემს შემდგომ დიდ შესაძლებლობას უფრო მეტი ყურადღება მივაპყროთ შესაბამისი ეროვნული სტრატეგიების ჩამოყალიბებას, რათა შევასრულოთ კოპენჰაგენში ნაკისრი ვალდებულებები.

კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას კოპენჰაგენში მიღწეული შეთანხმებების პირადად მხარდაჭერისათვის. ნება მიბოძეთ გამოვხატო თქვენდამი და თქვენი სახით თქვენი ქვეყნის მთავრობისა და ხალხისადმი ჩემი საუკეთესო საახალწლო სურვილები.

ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ თქვენდამი საუკეთესო დამოკიდებულებაში.

ბუტროს ბუტროს ღალი,
გაეროს გენერალური მდივანი.

სახელმწიფო კანცელარია აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი რგოლია

15 იანვარს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა სახელმწიფო კანცელარიის სამსახურების ხელმძღვანელებს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის მეთაურობით.

შეხვედრაზე გამოვიდა სახელმწიფო მინისტრის მოადგილე პეტრე მამრაძე, რომელიც მოკლედ შეეხო კანცელარიის, მისი ცალკეული სამსახურების სტრუქტურას. შემდეგ ამ სამსახურების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ წარმოუდგენიათ მათ სახელმწიფო კანცელარიის შესაბამისი სტრუქტურების ფუნქციები და მათი ვალდებულება, რომელიც, როგორც მოგვიანებით ითქვა, უნდა გახდეს ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი რგოლი.

სახელმწიფო კანცელარიის შექმნა, აღნიშნა შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ, არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი ახალი წყობის პრაქტიკული ფორმირების გზაზე, რომელიც ითვალისწინებს მმართველობის მთელი სისტემის შეცვლას. მინისტრთა კაბინეტის გაუქმების შემდეგ, აღმასრულებელი საქმიანობის მთელი სიმძიმე დააწვება სამინისტროებსა და უწყებებს, და ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, აღნიშნა პრეზიდენტმა, რომ სახელმწიფო კანცელარია დაკომპლექტებული იყოს მოაზროვნე ადამიანებით, რომლებიც შეძლებენ მაღალკვალიფიციური პროფესიონალის რჩევით დროულად დაეხმარონ შესაბამის ხელმძღვანელებს. ასეთ რჩევას კი აქვს თავისი საფუძველი, იგი უნდა გამომდინარეობდეს ზუსტად შემუშავებული იმ სტრატეგიული და ტაქტიკური კურსიდან, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურების მუშაკებისა და საზოგადოების კოლექტიური შრომის ნაყოფია. ასეთ შემთხვევაში არ არის რთული განუხრელად დავიცვათ ეს კურსი ბოლომდე და არ გადავუხვიოთ მას.

საქართველოს პარლამენტის დელეგაცია სომხეთს ეწვია

13 იანვარს საქართველოს პარლამენტის დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით ორი დღის ოფიციალურ ვიზიტად ეწვია სომხეთის რესპუბლიკას. დაგეგმილია შეხვედრები სომხეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

16 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მიიღებს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი. იმავე დღეს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გამართავს პრესკონფერენციას ვიზიტის შედეგებთან დაკავშირებით.

16 იანვრის საღამოს პარლამენტის დელეგაცია თბილისს დაბრუნდება.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

მტკიცე პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, მისი აღდგენისა და დაცვის აუცილებლობის შესახებ

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საელჩოს პრესსამსახურის ცნობა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვში გამართულ სხდომაზე განიხილეს ქართული დელეგაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებას: „აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მიერ კონტროლირებადი საქართველოს ტერიტორიის მიმართ განხორციელებული ზემოქმედების ღონისძიებანი", აგრეთვე „აფხაზეთის (საქართველო) კონფლიქტის ზონაში მშვიდობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის კოლექტიური ძალების მანდატი".

ამ დოკუმენტების გარშემო გაიმართა ცხოველი სჯა-ბაასი, რომელშიც მონაწილეობდა, პრაქტიკულად, სხდომის ყველა წევრი. მათ ჩამოაყალიბეს მტკიცე პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი აღდგენისა და დაცვის აუცილებლობის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება სეპარატისტთა წინააღმდეგ, რამდენადაც იგი საფრთხეს უქმნის არა მარტო საქართველოს, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მთელ თანამეგობრობასაც.

სხდომის მონაწილეებმა მოიწონეს საქართველოს პოზიცია გადაიჭრას აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის პრობლემა, კერძოდ, მიენიჭოს მას ფართო უფლებამოსილებანი როგორც ერთიანი სახელმწიფოს სუბიექტს.

ამრიგად, მთლიანად მხარი დაუჭირეს საქართველოს პოზიციასა და პრინციპულ მიდგომას აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პრობლემის გადაწყვეტისადმი. გადაწყდა, რომ საქართველოს მხარეს მიეცეს წინადადება განაგრძოს კონსულტაციები რუსეთის დელეგაციასა და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან, რათა დაიხვეწოს საქართველოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, იმ მიზნით, რომ წარუდგინონ ისინი მიმდინარე წლის 19 იანვარს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურთა საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

საქინფორმი.

„გადაუჭარბებლად ვიტყვი, თუ კავკასიის ხანძრების ჩაქრობა გაჭიანურდა, საქმე გვექნება უფრო გლობალური მნიშვნელობის ნეგატიურ მოვლენებთან..."

— გასული ეკონომიკური კვირა მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოს ეწვია „შევრონის" პრეზიდენტი ბატონი მაცკე და როგორც მან აღნიშნა, ეს ვიზიტი საინტერესო და ბევრის მომტანი იყო მისთვის. თქვენ წინა ინტერვიუში აღნიშნეთ, რომ საქართველო თანდათან ხდება ევრაზიური დერეფნის ერთ-ერთი საკვანძო სახელმწიფო. გარდა ამისა, გასულ კვირას თქვენი სამუშაო დროის უდიდესი ნაწილი საქართველოს ბიუჯეტის განხილვას მიეძღვნა. ჟურნალისტ ნატო ონიანის ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— როგორც უკვე ითქვა, წინა კვირა აღინიშნა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია პრეზიდენტის ხელმძღვანელობით გამართული მთავრობის სხდომა, რომლის მუშაობაშიც სამხარეო რწმუნებულებიც, ცალკეული გამგებლებიც მონაწილეობდნენ, რომელიც მიეძღვნა საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ყოველმხრივ და სიღრმისეულ განხილვას. განხილვამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ქვეყანაში რეფორმატორული კურსის მძლავრი მხარდაჭერა და დიდი სიცოცხლისუნარიანობა, ამ კურსის რეალიზაციაში სახელმწიფო ბიუჯეტის, როგორც ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის უმთავრესი ინსტრუმენტის გადამწყვეტი როლი. ამავე დროს პროექტმა გვიჩვენა, რომ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისთვის აუცილებელია ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ურთიერთშეთანხმებული, პარტნიორული მუშაობა. ეს შესაძლებლობას მოგვცემს რეალურად მივაღწიოთ 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ისეთ დაძაბულ პარამეტრებს, როგორიცაა წინა წელთან შედარებით ბიუჯეტის საერთო შემოსავლების 2,7-ჯერ, ხოლო 1994 წელთან შედარებით თითქმის ათჯერ მატება და ამ საფუძველზე ბიუჯეტის საერთო შემოსავალში საკუთარი საგადასახადო შემოსავლების 18 პროცენტიდან 60 პროცენტამდე გადიდება.

ამასთან, საგადასახადო შემოსავლების სწრაფი მატების მიუხედავად, 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პროგრამების რეალიზაციაში, რომელთა დაფინანსების თანხა 1,8-ჯერ გაიზრდება, კვლავ მნიშვნელოვანი იქნება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წილი. გრანტებისა და უცხოური კრედიტების სახით ბიუჯეტი მიიღებს სულ ცოტა 250 მილიონ ლარს, რაც ეკონომიკური რეფორმის სისტემური და სტრუქტურული გარდაქმნების სერიოზული გარანტია გახდება. მაგრამ, ცხადია, კრედიტები და გრანტები იმისათვის გვეძლევა, რომ უფრო მეტად გავზარდოთ საკუთარი შესაძლებლობები. სწორედ ამიტომ, ევროკავშირიდან მიღებული მარცვლეულის გრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება არა მარტო სოციალური ხარჯების დაფინანსებას, არამედ წარმოების, ამ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას.

1996 წლის ბიუჯეტის დაძაბული, მაგრამ რეალური საშემოსავლო ნაწილის შესრულებაში მეურნეობის განვითარების უზრუნველყოფასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო და საბაჟო ორგანოების ეფექტიან მუშაობას. წინასწარი შეფასებით იანვრის პირველ ნახევარში მოსალოდნელი საგადასახადო შემოსავლები 7 მილიონი ლარით განისაზღვრება, რაც თითქმის ორჯერ აღემატება შარშანდელ შესაბამის დონეს. ტემპი უაღრესად სწრაფია, მაგრამ იგი მაინც დაჩქარებას მოითხოვს. მათ შორის, საბაჟო დეპარტამენტის მხრიდანაც, რომელმაც იანვრის 10 დღეში 320 ათასი ლარი გადარიცხა ბიუჯეტში. ეს არ არის საკმარისი.

ბიუჯეტის შესრულების ფინანსური სტაბილურობის წინაპირობებს განსაზღვრავს ლარის კურსის სიმტკიცე. არ მინდა ვუღალატო ტრადიციას და მსურს ლარზეც ვთქვა ორიოდე სიტყვა: გასულ კვირაში, როცა შიდასავალუტო ბაზარზე ამერიკული დოლარის ბანკნოტებზე მოთხოვნის ზრდა აღინიშნა, ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნულმა ბანკმა ერთნახევარი მილიონი დოლარი გამოიტანა, რითაც უზრუნველყო ლარის კურსის უცვლელობა და დოლარის ბანკნოტური კურსის დარეგულირებაც.

მართალია ნელი ტემპით, მაგრამ მაინც ცხადი ხდება საკრედიტო ბაზრის გამოცოცხლება. წინა კვირის სამშაბათს გამართულ ოცდამეათე საკრედიტო აუქციონზე გაყიდული ერთკვირიანი საკრედიტო რესურსების საპროცენტო განაკვეთი წლიური 24 პროცენტის დონეზე აღინიშნა. ხოლო სამშაბათს, პირველად ჩვენი საკრედიტო აუქციონის პრაქტიკაში, სახსრების განთავსება ერთი კვირის ნაცვლად ერთი თვის ვადით მოხდა. მართალია, ჯერჯერობით, განთავსებული სახსრები ეკონომიკის მოთხოვნებთან შედარებით მეტად მოკრძალებულია, მაგრამ სათანადო სიმპტომების წარმოჩენა იმედს იძლევა, რომ ეს პროცესი დაჩქარდება და ამაზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

სწორედ ეკონომიკის გამოცოცხლების ამგვარი ნიშნები, პოლიტიკური სტაბილურობა, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდა რეალურ საფუძველს ქმნის საქართველოს ინტეგრაციისათვის საერთაშორისო სამეურნეო კავშირებში. ამ თვალსაზრისით ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს განვლილ კვირაში მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი სამრეწველო-საფინანსო გრანდის „შევრონ ოვერსის" დელეგაციის ვიზიტი საქართველოში კორპორაციის პრეზიდენტის ბატონ რიჩარდ მაცკეს მეთაურობით. ეს არის ერთ-ერთი საყოველთაოდ ცნობილი კორპორაცია იმ საერთაშორისო კონსორციუმის 16 წევრიდან, რომელიც დღეისათვის კასპიის აუზის ნავთობის ბედს განსაზღვრავს. კორპორაცია „შევრონის" ხელმძღვანელობას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო, აინტერესებს საქართველოს შესაძლებლობები, კერძოდ, ნავთობსადენისა და რკინიგზის მდგომარეობა, რომლითაც ნავთობი უნდა მიეწოდოს შავი ზღვის ნავსადგურებს. მათ მოინახულეს სუფსა, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს ნავთობის ძიება. სტუმრებმა დაათვალიერეს ნავთობის ტერმინალები, იყვნენ ფოთსა და ბათუმში, სადაც შეისწავლეს სანავსადგურო ნაგებობების მდგომარეობა და შესაძლებლობა. ეს იყო პირველი ვიზიტი და მას ძირითადად გაცნობის ხასიათი ჰქონდა. ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიზნები და ხასიათი მოგვიანებით განისაზღვრება ქართველ კოლეგებთან ერთად.

სხვათა შორის, რუსეთის ზოგიერთ გაზეთში ამ ვიზიტთან დაკავშირებით გამოჩნდა არცთუ ისე მთლად გასაგები კომენტარები, რომ საქართველოს მხრიდან ადგილი აქვს რაღაც კონკურენციას რუსეთის ნავთობსადენების ტრასის მიმართ და ასე შემდეგ. ეს ასე სულაც არ არის. „შევრონი" ძირითადად მუშაობს ყაზახეთში, სადაც ნავთობის მართლაცდა გიგანტური მარაგებია და ის უკვე ჭაბურღილების ექსპლუატაციას ეწევა. ყოველწლიურად „შევრონი" მოიპოვებს 4-5 მილიონ ტონა ნავთობს და ეს ნავთობი ნოვოროსიისკზე გადის. მას გეგმაში აქვს, რომ ამ ნავთობის ამოღების ზრდის პარალელურად კვლავ განავითაროს რუსეთის ტერიტორიაზე მილსადენები, მაგრამ, როგორც სარეზერვო პარალელური, მათ შესაძლებლად მიაჩნიათ შეისწავლონ სხვა ვარიანტიც (ლაპარაკია ყაზახეთის ნავთობზე). ასე რომ, ზედმეტი ხმაური რაიმე კონკურენციაზე, შეჯიბრზე და ასე შემდეგ, ვფიქრობ, საფუძველს მოკლებულია.



საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 15 იანვრის რადიოინტერვიუ

ვეხები რა უცხოურ ინვესტიციებს, ზემოაღნიშნულთან ერთად, არ შემიძლია არ აღვნიშნო ბატონ ნიკო ლეკიშვილის წარმატებული ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მისი შეხვედრები ამერიკის საქმიან წრეებთან, დიალოგი პოლიტიკოსებთან. უცხოური ბიზნესი, როგორც იტყვიან, დაიძრა საქართველოსაკენ და მათ მომზადებული უნდა დავხვდეთ ჩვენი მაღალი კულტურით სათანადო ბიზნესგეგმების შედგენის დარგში, სათანადო პროექტების მომზადებისა და მათთან სათანადო დიალოგის წარმოების სფეროში.

ასე რომ, ამ მხრივ, ქვეყანას კარგი მომავალი აქვს.

ახლა ორიოდე სიტყვა ელექტროენერგიასთან დაკავშირებით: ელექტროენერგიის საშუალო სადღეღამისო მოხმარებამ 19,5 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, წარმოებამ კი — 18,5 მილიონი კილოვატსაათი. წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობის დაფარვა ხდებოდა რუსეთიდან და თურქეთიდან მიღებული ელექტროენერგიის ხარჯზე. უკვე ამოქმედდა „კავკასიონი". ასეთ უაღრესად დაძაბულ პირობებში, ცხადია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვა. მაგრამ, სამწუხაროდ, კონტროლის გაძლიერების მიუხედავად, დადგენილი ლიმიტების გადახარჯვა გრძელდება. კერძოდ, ქუთაის-წყალტუბოს ზონასა და სამტრედიაში 10 დღეში დახარჯულია ლიმიტზე სამჯერ მეტი, გადამეტებული ხარჯვა დაუშვეს ზუგდიდმა—22 პროცენტით, ხონმა—60 პროცენტით, ტყიბულმა — 120 პროცენტით, მარნეულმა — 83 პროცენტით, თბილისმა — 18 პროცენტით და ასე შემდეგ. ამიტომაც არის, რომ მთელი რიგი რაიონები დღეებისა და კვირების განმავლობაში გამორთული არიან. 1996 წელს „საქენერგოს" საქმიანობაში ძირითადი აქცენტი გადატანილი იქნება ელექტროენერგიის რეალიზაციის თანხების ამოღებაზე. ამ საქმეში არსებითი ძვრების მიღწევა მარტო „საქენერგოს" ძალისხმევით შეუძლებელია. რესპუბლიკის ყველა მმართველობითმა თუ სამეურნეო რგოლმა, მოსახლეობამ უნდა გაითავისოს, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა ენერგოკრიზისიდან გამოსვლის უმთავრესი პირობაა და მთელი მუშაობა მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლებისა, სწორედ ამას მოხმარდება. მიმდინარე წლის 10 იანვარს რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა ელექტროენერგიის ურჩ გადამხდელთა სია, ძირითადად, ჩამოთვლილი იყო რაიონები. მომავალში ეს მასალები უფრო დეტალიზებული იქნება. ანალოგიური მასალის გამოქვეყნება გაგრძელდება, მაგრამ გამოქვეყნება თვითმიზანი არ არის — თუ სათანადო დასკვნები არ იქნება გამოტანილი, მას ობიექტურად უმკაცრესი ზომები მოჰყვება. ეს შეიძლება შეეხოს ცალკეულ გამგებლებს, მერებს, მინისტრებსაც, თვით სამუშაოდან დათხოვნამდეც კი. ამასთან აუცილებელია ქვეყანას ჰქონდეს საკანონმდებლო ბაზა, რაც უზრუნველყოფს ენერგიის საფასურის გადახდის ეფექტიანი სისტემის შექმნას.

ასეთია გასული კვირის განმავლობაში ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების მოკლე მიმოხილვა.

— ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ომი დაიწყო, სხვადასხვა საჯარო გამოსვლასა თუ ინტერვიუში მრავალგზის გილაპარაკიათ აგრესიული სეპარატიზმის შესახებ, გითქვამთ, რომ თუ მის წინააღმდეგ ბრძოლა არ გაძლიერდა, ეს სენი გავრცელდება და ბუმერანგივით (ეს თქვენი ტერმინია) მიუბრუნდება იმათ, ვინც ამ უბედურების გავრცელებას უწყობს ხელს. პრინციპში, ბოლო პერიოდში რუსეთში ორი ასეთი მაგალითი იყო: ბუდიონოვსკისა და გასულ კვირას დაწყებული მოვლენები ყიზლარში. აქედან გამომდინარე, ალბათ თანამეგობრობის ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრაზე, სადაც თქვენ გაემგზავრებით, აფხაზეთის თემაზე უფრო მკვეთრად და უფრო მწვავედ იქნება მსჯელობა. და კიდევ ერთი კითხვა ამასთან დაკავშირებით: ვიცით, რომ იგორ გიორგაძე დღემდე მოსკოვშია. მოახდენს ეს რაიმე გავლენას თქვენს ვიზიტზე?

— საქმე ის გახლავთ, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა დეზინტეგრაციის საფრთხე რეალურ ხასიათს იღებს. აგრესიული სეპარატიზმი თავის საქმეს აკეთებს. დეზინტეგრაციის ტენდენციების განვითარებას დამანგრეველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, უწინარესად რუსეთს, ყველა საშუალება აქვთ შეაჩერონ და გააუვნებელყონ აგრესიული სეპარატიზმი, გაააქტიურონ მის ასალაგმად განხორციელებული ღონისძიებები. მით უმეტეს, რომ აგრესიული სეპარატიზმის მკვებავ წყაროდ უცხოური ინექციები გვევლინება ფინანსების, იარაღის, გაწვრთნილი ბოევიკების სახით. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ უკვე მიიღო დოკუმენტები, რომლებიც სამართლებრივ ბაზას წარმოადგენს ორგანიზაციის წევრ ცალკეულ სახელმწიფოებში შექმნილი, არანორმალური ვითარების გამოსასწორებლად. ასეთი გახლავთ ალმათის ცნობილი მემორანდუმი, მინსკის შეხვედრის განცხადება, სახელმწიფოთა კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ დოკუმენტები და მრავალი სხვა.

საგულისხმოა, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დამყარებული პრინციპული მოქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და მთელი მსოფლიოს მხარდაჭერას იღებს.

არ მინდა, რომ მოსკოვის შეხვედრიდან ველოდოთ იმაზე მეტს, ვიდრე ეს რეალურად არის შესაძლებელი. ხშირად მეკითხებიან: რა მიზანი აქვს მოსკოვში თქვენს ვიზიტს, რა მიზანი აქვს საკითხის განხილვას თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა დონეზე და სხვა მრავალი. ჩვენ ვალდებული ვართ ბოლომდე ამოვწუროთ მშვიდობიანი მოწესრიგების ყველა გზა და ყველა შანსი, რომელიც კი არსებობს, მათ შორის, თანამეგობრობის ხაზითაც.

დარწმუნებული ვარ თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების აქტიურ მხარდაჭერაში. წინასწარი მოლაპარაკება თითქმის ყველა სახელმწიფოს ყველა მეთაურთან და საგარეო საქმეთა მინისტრებთან გვქონდა. ზოგიერთ ქვეყანაში თავად ბატონი ირაკლი მენაღარიშვილი იყო, ზოგან — მისი მოადგილეები, ჩემი პირადი წარმომადგენლები.

რაღა თქმა უნდა, ძირითადი ტვირთი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის წილად მოდის. ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი არ არის. რუსეთი ხომ რეალურად აღმოჩნდა ჩართული ამ პროცესში. კონფლიქტის აღმოცენების პირველ დღეებშივე. ამიტომაც, ეს მძიმე ტვირთი ერთად უნდა ვზიდოთ და რაც უფრო ადრე გადავჭრით პრობლემას, მით უფრო მეტი იქნება უსაფრთხოების გარანტიები ამიერკავკასიისა და თვით რუსეთისთვისაც. რა თქმა უნდა, უწინარესად, მხედველობაში მაქვს აფხაზეთი, აფხაზეთის კონფლიქტი, რომელზეც მსჯელობა იქნება. ჩეჩნეთსა და დაღესტანში განვითარებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა ამაში დაგვარწმუნეს.

გადაუჭარბებლად ვიტყვი, თუ კავკასიის ხანძრების ჩაქრობა გაჭიანურდა, საქმე გვექნება უფრო გლობალური მნიშვნელობის ნეგატიურ მოვლენებთან, რაც მიუღებელია თანამეგობრობის ყველა ქვეყნისათვის, და, მიუღებელია, რა თქმა უნდა, მთელი მსოფლიოსათვის.

რაც შეეხება ჩემს ვიზიტს მოსკოვში, ჩემს ჩასვლასა და მონაწილეობას თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრაში და გიორგაძის ფაქტორს: სიმართლე გითხრათ, ამას ძალიან დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე. მიმაჩნდა, და მიმაჩნია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და ჩვენი ურთიერთობა თანამეგობრობის ყველა ქვეყანასთან, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რამდენიმე ცნობილი ტერორისტის ბედი. ვფიქრობ, რომ ამ საკითხში, ადრე თუ გვიან, სათანადო სინათლე იქნება შეტანილი და ეს არ გახდება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბულობის ახალი წყარო და ახალი საგანი.

— რაც შეეხება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას, გასულ კვირას, რუსეთის პრეზიდენტმა საგარეო უწყების ახალი ხელმძღვანელი დანიშნა, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში, ალ-

(დასასრული მე-2 გვ.)

საფუძველი ჩაეყარა ახალ ტრადიციას

14 იანვარს სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართა დიდი ნათლობა, რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი", სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდსაბჭო და ქალთა კონგრესი. თბილისის ცხრაწლიანი სკოლა-ინტერნატის მშობელთა მზრუნველობას მოკლებული თოთხმეტი ობოლი ბავშვი მონათლეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ, სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ, ქალაქის მერმა ბადრი შოშიტაიშვილმა, ვიცე-მერებმა გიგა წერეთელმა და მალხაზ ჩაჩავამ, მინისტრებმა კახა თარგამაძემ, ავთანდილ ჯორბენაძემ, ირაკლი მენაღარიშვილმა, ტელერადიო კორპორაციის თავმჯდომარემ არჩილ გოგელიამ, პარლამენტარმა გიორგი ბარამიძემ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა და სამგორის რაიონის გამგებელმა გივი მაზანაშვილმა.

ნათლობას ესწრებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. მან განაცხადა, რომ ნათლიებმა საკუთარი შვილებივით უნდა მიიღონ ეს ბავშვები და არ დააკლონ ძალისხმევა მათ სულიერ აღზრდას.

აქცია, რომელსაც „ახალგაზრდა, რელიგია, ხელისუფლება" ეწოდება, ტრადიციულ ხასიათს მიიღებს.

დავუბრუნოთ თბილისს თავისი სახე

15 იანვარს მერიის ოპერატიულ თათბირზე ინფორმაცია გააკეთა ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა დემურ მიქაძემ. მან თავის გამოსვლაში ყურადღება მიაპყრო საპასპორტო რეჟიმის დაცვას. აღინიშნა, რომ თბილისში საერთოდ მოშლილია საპასპორტო რეჟიმი და ვითარების გამოსასწორებლად საჭირო იქნება სათანადო ზომების მიღება. დ. მიქაძემ დასძინა, რომ საქმის უკეთ წარმართვისათვის საჭიროა შესრულდეს ყველა მიღებული დადგენილება თუ გადაწყვეტილება. აგრეთვე აღინიშნა, რომ ბოლო უნდა მოეღოს გარე ვაჭრობას და თბილისს დაუბრუნდეს მისი იერ-სახე, განსაკუთრებით რთული ვითარებაა შექმნილი ვაგზლის მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციების მწყობრიდან გამოსვლის გამო ავარიული მდგომარეობა შეიქმნა. გადაწყდა, რომ 15 იანვრიდან იქ დაგეგმილია აღდგენითი სამუშაოების განხორციელება და სატრანსპორტო მოძრაობისათვის გადაიკეტება თევდორე მღვდლის ქუჩა.

თათბირზე ითქვა, რომ ამ დღეებში დაიწყება მეტროს საბურთალოს ხაზის მშენებლობა.

საქინფორმი.

მადლობა

ენერგეტიკული კრიზისის სუსხს განსაკუთრებით ვგრძნობთ პრესის მუშაკები: ელექტროენერგიის ნაკლებობა, შეფერხებით მოწოდება საფრთხეში აყენებს გაზეთის გამოცემას.

თუნდაც „საქართველოს რესპუბლიკის" დღევანდელი ნომერი ავიღოთ, რომელიც ახლა გიჭირავს ხელში, მკითხველო, დეპარტამენტ „საქენერგოს" მუშაკთა მხარში დგომა და, განსაკუთრებით, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ბატონ შოთა მაისურაძის გამორჩეული ძალისხმევა რომ არა, მისი დაკაბადონება ერთობ სათუო იყო. ამ ყურადღებისა და დახმარებისათვის დიდი მადლობა!

„საქენერგოს" დახმარებისა და თანადგომის იმედი სამომავლოდაც გვაქვს!

შეხვედრა

მომავალ ლიდერებთან

12 იანვარს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შეხვდა პროგრამის „XXI საუკუნის ახალი სახელები“ მონაწილეებს. სანატორიუმ „ბორჯომლიკანში“ გაიმართა საინტერესო მსჯელობა ქვეპროგრამის „მომავალი ლიდერების“ წარმომადგენლებთან, კერძოდ, საყმაწვილო პარლამენტთან, რომელიც უკვე ერთი კვირაა სერიოზულად მუშაობს ბავშვთა უფლებების დაცვის კანონმდებლობაზე. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ დადებითად შეაფასა საყმაწვილო პარლამენტის შექმნა, მოზარდთა დაინტერესება საპარლამენტო სტრუქტურების შესწავლით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბორჯომის სამხედრო სანატორიუმსა და კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლში შეხვდა ქვეპროგრამების „მცირე აკადემიისა“ და „ახალი სახელების“ მონაწილეებს. გაეცნო მათს შემოქმედებით საქმიანობას.

კომპოზიტორთა შემოქმედებით სახლში ნორჩმა ტალანტებმა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს სტუმრებს.

13 იანვარს პარლამენტის თავმჯდომარემ სანატორიუმ „ბორჯომლიკანში“ მონაწილეობა მიიღო საყმაწვილო პარლამენტის სხდომის მუშაობაში.

რობერტ ცუცქირიძე,
საქინფორმის კორ.

„გადაუჭარბებლად ვიტყვი, თუ კავკასიის ხანძრების ჩაქრობა გაჭიანურდა, საქმე გვექნება უფრო გლობალური მნიშვნელობის ნეგატიურ მოვლენებთან...“

(დასასრული)

ბათ, მეტად პოპულარული პიროვნება, ბატონი ევგენი პრიმაკოვი. ალბათ, ესეც გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს ორმხრივ ურთიერთობაში. თუმცა, შეიძლება ეს გარეშე თვალისათვის ნაკლებად შესამჩნევი და დასანახი იყოს. და, კიდევ: საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე უკვე ამ კვირაში ფრაქცია „უმრავლესობა“ აპირებს რუსეთთან დადებული ყოვლისმხრივი ხელშეკრულების რატიფიკაციის მოთხოვნას. რას ნიშნავს ეს ჩვენთვის, რას მოგვიტანს იგი?

—მე ასე ვფიქრობ, რომ რუსეთთან დიდი ხელშეკრულების (მე ასე ვუწოდებ ამ ხელშეკრულებას) რატიფიცირება უდავოდ დროულია. ეს ის ხელშეკრულებაა, რომელიც ორივე მხარის საარსებო ინტერესებს შეესაბამება. მაშ, რატომ გავაჭიანუროთ რატიფიკაცია, რა შედეგი მოჰყვება გაჭიანურებას? რატომ გავაჭიანუროთ მაშინ, როცა ამისათვის სათანადო საფუძველი არ არსებობს. მარტო იმიტომ, რომ თავის დროზე, სათათბიროში პრობლემები წარმოიქმნა? სხვათა შორის, ეს არის ერთადერთი არგუმენტი. არა მგონია, რომ ლოდინის პოლიტიკა ამ შემთხვევაში სწორი იყოს, ჩვენ სხვა ხელშეკრულებათა რატიფიკაციაც გველოდება. მანევრირების საშუალება, თუ საქმე მანევრირებაზე მიდგება, კვლავაც გვექნება. ვიმეორებ, ეს ის ხელშეკრულებაა, რომელიც ორივე მხარის და, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესებს აბსოლუტურად შეესაბამება და შეეფერება.

რაც შეეხება ევგენი პრიმაკოვის დანიშვნას, რა თქმა უნდა, აქ ჩემი კომენტარი იქნებ უადგილოც იყოს, რადგან, სხვა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზეა ლაპარაკი. მაგრამ მაინც გავიმეორებ ჩემს პირველ რეაქციას, რაც იმით გამოიხატება, რომ პრიმაკოვის დანიშვნა უდავოდ გააძლიერებს რუსეთის დიპლომატიის აქტიურობას და ეს მისასალმებელია. თანაც, აქტიურობის გაძლიერება, ჩემი აზრით, შეეხება რუსეთის პოლიტიკის ყველა მიმართულებას.

— ბოლოს, გუშინ 14 იანვარი იყო, ქართული თეატრის დღე. ქართული თეატრის დღე ეკონომიკური კრიზისის პერიოდში — ეს, ალბათ, ცალკე თემაა. მიუხედავად იმისა, რომ კულტურის ხსნის კომიტეტი ქვეყანაში თქვენი ჩამოსვლის შემდეგ რამდენიმე თვეში შეიქმნა, მიუხედავად იმისა, რომ არის გარკვეული მცდელობები, განხორციელდა გარკვეული ღონისძიებები, პრინციპში, დღეს ქართულ თეატრს მაინც უჭირს და ქართველ მსახიობებს გაყინულ დარბაზებში უხდებათ მუშაობა, რაღაც სიმბოლური ანაზღაურების პირობებში...

—ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც, ქართული თეატრის დღეს ვულოცავ ყველა თეატრალურ მოღვაწეს, ყველა მაყურებელსა და მთელ საქართველოს.

საქართველო წარმოუდგენელია თეატრის გარეშე. იქნებ ეს ქართული ფენომენის ერთი უმნიშვნელოვანესი გამოვლინებაც იყოს — ორგანული შერწყმა ხელოვნებასთან, საერთოდ, კულტურასთან. საამაყოა, რომ უამრავი ტკივილის მიუხედავად, თეატრი აღმავლობის გზაზეა და იგი კიდევ უფრო მეტ მაღალ მწვერვალებს დაიპყრობს თანამედროვე ხელოვნებაში. ხელისუფლება ამისათვის, რაც მის განკარგულებაშია, ყველა საშუალებასა და ყველა ძალას გამოიყენებს, მათ შორის, ისეთ საგანგებო ღონისძიებებსაც, როგორიც იყო თავის დროზე, კულტურის ხსნის კომიტეტის შექმნა.

სიმბოლურია ამ დღეს პოლიკარპე კაკაბაძის, ამ ნამდვილი გენიალური დრამატურგის ძეგლის გახსნა. მისი შემოქმედება, ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია, მსოფლიო მიღწევების დონეზეა და დროა, ვიფიქროთ, მისი ნაწარმოებების სხვა ენებზე გამოცემისათვის, სხვა ქვეყნების მაყურებელთათვის სცენაზე განსახიერებული პიესების დემონსტრირებისათვის. ეს მართლაც ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი დრამატურგი გახლავთ და მისასალმებელია, რომ თბილისელებმა დროულად მოახერხეს მისი ძეგლის დადგმა და ამით მისი ხსოვნის უკვდავყოფა.



საქართველოს პარლამენტის აპარატი

აცხადებს თანამშრომელთა მიღებას შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი
სპეციალისტი — 4 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული.
წამყვანი სპეციალისტი — 6 საშტატო ერთეული;

2. ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტი
სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;

3. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი
სპეციალისტი — 4 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 6 საშტატო ერთეული;

4. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი
სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;

5. საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტი
სპეციალისტი — 4 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 6 საშტატო ერთეული;

6. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი
სპეციალისტი — 4 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 6 საშტატო ერთეული;

7. აგრარულ საკითხთა კომიტეტი
სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;

8. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი
სპეციალისტი — 4 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 6 საშტატო ერთეული;

9. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი
სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;

10. თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტი
სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;

11. ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა კომიტეტი
სპეციალისტი — 2 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 2 საშტატო ერთეული;

12. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი
სპეციალისტი — 2 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 2 საშტატო ერთეული;

13. მიგრაციის, ემიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტი
სპეციალისტი — 2 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 2 საშტატო ერთეული;

14. საპროცედურო საკითხთა კომიტეტი
სპეციალისტი — 2 საშტატო ერთეული;
უფროსი სპეციალისტი — 3 საშტატო ერთეული;
წამყვანი სპეციალისტი — 2 საშტატო ერთეული;

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

სპეციალისტი (რეფერენტი) — უნდა შეეძლოს კომპიუტერის რედაქტორულ სისტემებში (Word WinWord Lexicon) მუშაობა, ფლობდეს რუსულ და ინგლისურ ენებს.

უფროსი სპეციალისტი — უნდა ფლობდეს რუსულ და ინგლისურ ენებს, სასურველია ჰქონდეს კომიტეტის საქმიანობის სფეროში შესაბამისი განათლება ან ამ დარგში მუშაობის გამოცდილება.

წამყვანი სპეციალისტი — უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება, რაც დადასტურებული იქნება ამ დარგის ხუთი ავტორიტეტული სპეციალისტის რეკომენდაციით.

კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
ა) რეკომენდაცია წინა სამუშაო ადგილიდან;
ბ) ბიოგრაფიული მონაცემები დადგენილი ფორმის შესაბამისად;
გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი.

გთხოვთ მოგვმართოთ: საქართველოს პარლამენტი,
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8,
ტელ.: 93-13-06.

კვირიდან კვირამდე

თეთრებს მიხედე, თუ კაცი ხარ, გახვრეტილი ჯიბიდან არ გაგიძვრეს

ახალწლის დადგომას შობა და, ამჟამად, წმინდა სამების მადლი მოჰყვა.

მაგრამ 1996 წლის ფეხის ადგმა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის სხვა „სამებითაც“ აღინიშნა:

ნავთობის საერთაშორისო კომპანია „შევრონ ოვერსის“ დელეგაციის სტუმრობა მისი პრეზიდენტის რიჩარდ მაცკეს ხელმძღვანელობით.

რესპუბლიკის 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა თათბირი მოსკოვში, რომელიც 19 იანვარს გაიმართება.

ეს ისეთი სამებაა, რომლის გამონაშუქიც მხოლოდ წლეულს კი არა, სამომავლოდაც შეიძლება დიდხანს გაგვყვეს.

უკანასკნელ წლებში „მართლა სტუმრის“ ყადრი უკეთ გავიგეთ.

იმიტომ, რომ, როცა გიჭირს, ალლო უფრო გიმძაფრდება და მეტი გულისხმიერებით ახარისხებ, ვინ რა მიზნით მოგინახულა.

მაგალითად ნავთობის საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენლობითი დელეგაცია ავიღოთ.

კომპანიის პრეზიდენტმა რიჩარდ მაცკემ ჩამოსვლისთანავე დაადასტურა მზადყოფნა, აქტიურად ჩაებას საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის ნავთობის ტრანზიტის პროექტში, რომელიც დაამტკიცა აზერბაიჯანის ნავთობის საოპერაციო კონსორციუმმა, განაცხადა, რომ მისი მიზანია მიიღოს ინფორმაცია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ, შეიმუშაოს კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს მის სრულფასოვან გამოყენებასა და განვითარებას.

ამ ვიზიტმა კიდევ ერთხელ ცხადყო: საქართველო და მთლიანად კავკასია მნიშვნელოვანი სატრანზიტო კვანძია, რომლის ტერიტორიის გავლითაც შეიძლება გაიყვანონ მძლავრი ნავთობსადენები, გაზსადენები, გადაზიდონ დიდძალი ტვირთი დასავლეთის ქვეყნების მიმართულებით.

„შევრონ ოვერსის“ პრეზიდენტთან ქვეყნის ხელმძღვანელობის საუბრის დროს განიხილეს კასპიის ზღვის ნავთობის ტრანსპორტირების მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა პრობლემები.

ახლა მთავარი საკითხია ის, რომ ამ პროცესს მიეცეს მეტი დინამიზმი და უფრო დაჩქარდეს იგი.

რაც მთავარია, არის რეალური პერსპექტივა, რომ ევრაზიის დერეფანი მთელი სიმძლავრით ამოქმედდეს, რომ ფოთმა და ბათუმმა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავონ, როგორც ფორპოსტებმა, არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ მთელს კავკასიისა და შუააზიის რეგიონებშიც, სადაც შეიძლება დაიწყოს ყველა სავაჭრო და სხვა ხელსაყრელი ურთიერთობა ევროპასთან.

„შევრონ ოვერსის“ დელეგაცია მართლა სტუმარი იყო. იგი მართლაც მოწადინებულია, რომ თანამშრომლობითა და ერთობლივი ძალისხმევით იქნეს მიღწეული საქართველოს კეთილდღეობა.

რა თქმა უნდა, „შევრონ ოვერსს“ საკუთარი ინტერესები ამოძრავებს პროექტის განხორციელებაში და არა ჩვენი ლამაზი და მშვენიერი თვალები. მაგრამ მისი და ჩვენი ინტერესები ამ შემთხვევაში მჭიდროდ ენასკვება ერთმანეთს და ამიტომ გულწრფელად გვჯერა სტუმრების დაპირება, რომ ფინანსური ან პოლიტიკური დაბრკოლებების, სხვა ბარიერების შემთხვევაში, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას (მოგეხსენებათ, ეშმაკს არ სძინავს), საქართველოს ინტერესები არ შეილახება.

ასეთი სტუმარი ღმერთმა გვიმრავლოს.

ასეთ სტუმარს დღეს ჩამოსხმული ღვინო, შამპანური და კონიაკი არ დაელევინება. საგულდაგულოდ გადანახული კომუნისტების რეჟიმისდროინდელი უნდა მიართვა!

რამდენიმე დღე იმსხვრეოდა შუბები მთავრობის გაფართოებულ სხდომებზე: განიხილავდნენ რესპუბლიკის 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს.

ბიუჯეტის განხილვის დაწყება, ცნობილი მიზეზების გამო, დროულად, კონსტიტუციით დადგენილ ვადებში ვერ მოხერხდა, მაგრამ ეს დაგვიანება ზერელობისა და ნაჩქარევობის მიზეზი არ გამხდარა.

1996 წლის ბიუჯეტი, რომელიც ჩამოყალიბებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების, ქვეყნის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით, თავისი სტრუქტურით ძირეულად განსხვავდება წინანდელთაგან.

1996 წლისთვის საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტი დაგეგმილია 28,1 პროცენტის ოდენობით.

ეს ნიშნავს: შემოსავლის ნაწილი შეადგენს 555 მილიონ ლარს, გასავლისა კი 772 მილიონ ლარს. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი — 217 მილიონი ლარი, დაგეგმილია დაიფაროს დაფინანსების როგორც საშინაო, ისე საგარეო წყაროებით.

ბიუჯეტის პარამეტრებსა და მთავარ მახასიათებლებზე ლაპარაკს არ მოვყვები, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ წლევანდელი ბიუჯეტი აგრძელებს რეფორმის კურსს. პროექტი ითვალისწინებს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების შეხამებას, საკუთარი შემოსავლების ზრდას, ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებას, [illegible] დასახადო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას, [illegible] წარმოებისათვის თანაბარი [illegible] კონკრეტული საგადასახადო [illegible] ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას, ჩვენი შესაძლებლობების საფუძველზე სოციალური სფეროსათვის გამოყოფილი სახსრების გადიდებას, საკუთარი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების მკვეთრ ზრდას (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია).

სანამ მთავრობის სხდომებზე ბიუჯეტის პროექტს განიხილავდნენ, მოახლოვდა 19 იანვარი. ამ დღისათვის მოსკოვში დანიშნულია დსთ-ის ქვეყნების მეთაურთა შეხვედრა.

ეს მოვლენა ჩვენთვის განსაკუთრებით იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იქ მსჯელობა უნდა გაიმართოს აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. საქართველოს მხარე საკმაოდ მკვეთრად და შეუფარავად აყენებს საკითხს.

თანამეგობრობას, განსაკუთრებით რუსეთს, გაეროსთან ერთად ყველა ბერკეტი ხელთ უპყრია აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად. უკვე კარგა ხანია ნათლად გამოიკვეთა — [illegible] სეპარატისტები, რომლებიც [illegible] ხობით ქართველების გენოციდი და ეთნოწმენდა სურთ დააკანონონ, ხვეწნა-მუდარით, შეგონებით, ე. ი. მარტო მოლაპარაკებით, მარტო პოლიტიკური დიალოგის მეშვეობით, სამართლიანობის [illegible] ზე არ წავლენ. [illegible] ლაზე მგრძნობიარე [illegible] მშვიდობის დასამკვიდრებლად [illegible] წამებული და [illegible] ადამიანების მშობლიურ [illegible] დასაბრუნებლად. იქ საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად ერთადერთი გზაა პოლიტიკური და ძალისმიერი მეთოდების შეხამება.

ამის მშვენიერი მაგალითია ბოსნია.

ეს მაგალითი განსჯის საშუალებას იძლევა:

მსოფლიო თანამეგობრობამ, სადაც ოფიციალურად თუ არაოფიციალურად აშშ ლიდერობს, როცა ყველა სხვა გზა ამოწურა, ძალის გამოყენებით ჩააქრო ცეცხლი ევროპის ამ ცხელ წერტილში.

სხვაგვარად გროშის ფასი ექნებოდა მთელ ამ მსოფლიო თანამეგობრობას.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ, სადაც ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ლიდერობს რუსეთი, უფრო მეტიც, პოსტსაბჭოურ სივრცეში ერთგვარი მშვიდობის გარანტის როლს იჩემებს მსოფლიოს თვალში, ვერა და ვერ მოაწესრიგა აფხაზეთის საკითხი, ვერ შეძლო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

მაშინ რა ფასი აქვს საერთოდ ასეთ თანამეგობრობას?

რა საჭიროა გზა, თუ ტაძრამდე არ მიგვიყვანს?

მე არ ვიცი, მაინცდამაინც ასე მწვავედ დასვამს თუ არა ჩვენი პრეზიდენტი საკითხს ამ შეხვედრაზე, მაგრამ მწვავედ რომ დასვამს, ცხადია.

ამოიწურა ყველა გზა, ყველა საშუალება, არის რეზოლუციები, და მემორანდუმების ფრიალი, არძინბა კი თავზე ბუზს არ ისვამს და თავისას მიერეკება.

მზადდება უმაღლესი დონის შეხვედრა, სადაც ერთ-ერთ ძირითად საკითხად სწორედ სეპარატისტთა უკანონობაზე უნდა იყოს საუბარი და ამ დროს გალში აფხაზი ბოევიკები პროვოკაციულად ხოცავენ 8 ქართველს, მთელს ოჯახს დედაბუდიანად, რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და გაეროს მეთვალყურეთა ცხვირწინ.

ეს მხოლოდ პროვოკაცია არ არის.

ეს მთელი იმ 19 იანვრის მოსკოვის შეხვედრის გამოწვევა და მასხრად აგდებაა.

გორდიას კვანძის პრობლემა ალექსანდრე დიდმა მახვილით გადაჭრა.

თუ დსთ-ს მართლა სურს რაღაცას წარმოადგენდეს მსოფლიოს და საკუთარი ქვეყნების მოსახლეობის თვალში, აფხაზეთის პრობლემა ისევე უნდა გადაჭრას, როგორც ეს ბოსნიაში მოხდა.

სხვა მხრივ მის არსებობას არავითარი გამართლება არა აქვს.

მაგრამ კიდევ ერთხელ(!) ვიქონიოთ მოთმინება, კიდევ ერთხელ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

დაბოლოს, ერთი უჩვეულო ამბავი:

მოჭრილია პირველი ქართული საიუბილეო მონეტა, რომელიც სპეციალურად დაამზადეს საფრანგეთში.

მონეტა ოქროსია და 17 გრამს იწონის, მისი ნომინალური ღირებულება 500 ლარს შეადგენს. მოჭრილია მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავად. მონეტას ამშვენებს სტალინის, რუზველტის, ჩერჩილის რელიეფური გამოსახულებანი.

მაგრამ, ძვირფასო მკითხველო. ამაოდ ნუ მოამზადებ ჯიბეს ამ საიუბილეო მონეტების ჩასაჩხრიალებლად. ჯერ ერთი, როგორც ვთქვი, მისი ნომინალური ღირებულება 500 ლარია, მეორეც, სულ 2 ათასი ეგზემპლარია დამზადებული და, როგორც ირკვევა, ძირითადად მსოფლიო ბაზარზე გაიყიდება.

ესეც არ იყოს, რა გეოქროსმონეტება, თუ კაცი ხარ, ცალ-ცალობით საგულდაგულოდ დათვლილ თეთრებს მიხედე, გახვრეტილი ჯიბიდან არ გაგიძვრეს!

ალექსანდრე ალექსიშვილი.

რუსეთის პრესის სარკეში

ვის წინააღმდეგ მეგობრობთ? — კითხულობს „პრავდა“

კაზაკთა ატამანის აფხაზური მემუარები

კომუნისტებს კვლავ ბარიკადებისაკენ მოუწოდებენ



რუსეთის კომუნისტურ პრესას ბრალად ვერ დასდებ ჩვენს მიმართ უყურადღებობას. საქართველოს პრობლემების მიმართ განსაკუთრებით აქტიურია „პრავდა“, უფრო ზუსტად „პრავდა-5“. მისი თბილისელი კორესპონდენტი კ. სტატსკი ფიქრობს, რომ „წელიწადნახევარში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა განვლეს გზა ბანდფორმირებებიდან — რეგულარული არმიისკენ“. ამას შეიძლება დაეთანხმო, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა სჯობს ციტატა უკომენტაროდ მოიყვანო. მაშ ასე: „ძველ ინტენდანტს გენერალ ნადიბაიძეს, წარსულში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილეს, შევარდნაძემ თითქოსდა შეუძლებლის გაკეთება დაავალა — დაფანტული და ობივატელებისათვის ზარდამცემი შეიარაღებული ფორმირებებისაგან შეექმნა რეგულარული ქართული არმიის მსგავსი რამ.

იმ დროს რესპუბლიკაში თოფქვეშ იმყოფებოდა 49 ათას კაცზე მეტი. ალბათ, ყველაზე რთული საქმე იყო იმ შეიარაღებულ დაჯგუფებათა დაშლა, რომლებმაც, საბოლოო ანგარიშით, ვერა და ვერ დაიცვეს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. მათ შემადგენლობაში ძირითადად მოხალისეები და რეზერვისტები ირიცხებოდნენ. ეროვნული არმიის დაკომპლექტება დაიწყო საყოველთაო სამხედრო ვალდებულების საფუძველზე.

დღეისათვის უკვე ოთხი გაწვევა მოეწყო. დაგეგმილია, რომ არმიის დაკომპლექტება 90 პროცენტამდე იქნეს აყვანილი.

ჩამოყალიბდა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობა. მათი საფუძველია სახმელეთო ჯარები. ამას გარდა, შეიქმნა საარტილერიო და საინჟინრო-სარაკეტო ნაწილები და შენაერთები. ჩამოყალიბდა საჰაერო თავდაცვის სტრუქტურა. ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ არავინ აკონტროლებდა, თუ რა ხდებოდა საქართველოს საჰაერო სივრცეში. ოქტომბრის დამდეგს კი საჰაერო თავდაცვის ქართული ნაწილები მონაწილეობდნენ დსთ ქვეყნების საჰაერო თავდაცვის ჯარების ერთობლივ წვრთნაში, რომლის დროსაც აღმოაჩინეს და 100 პროცენტით გაანადგურეს სასწავლო სამიზნეები!

ჩამოყალიბების სტადიაშია სამხედრო-საჰაერო ძალები. უფრო რთულად მიდის საქმე სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნაში. არსებითად ფლოტი, როგორც ასეთი, საქართველოს ამჟამად არა აქვს. ქვეყანას ჯერ კიდევ არა აქვს ამის თავი. გაცილებით იოლია მოტო-მსროლელთა სამი ბრიგადის შენახვა, ვიდრე ერთი საგუშაგო კატარღისა. სამაგიეროდ, თბილისში, თვალი უჭირავთ სხვის ქონებაზე, შავი ზღვის ფლოტის გაყოფაზე. თავდაცვის მინისტრის აზრით, ცოდვა არ იქნებოდა, რომ ამ პროცესში საქართველოსაც მიეღო მონაწილეობა.

ქართველი მხედართმთავრების მხრივ გასაოცარი რეგულარობით გაისმის მტკიცებანი, რომ მათ სიყვარული და მეგობრობა აკავშირებთ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობასთან (და პირადად გენერალ გრაჩოვთან), საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ ნატოსთან [illegible]ლაციის მიუხედავად, საქართველო ძველებურად ორიენტირებულია თავის გავლენიან ჩრდილოელ მეზობელზე. პრაქტიკულად ხომ ყველაფერი, რაც საქართველოს არმიის შეიარაღებაშია — ტანკები, თვითმფრინავები, საბრძოლო მანქანები და ბევრი რამ სხვა — რუსეთშია წარმოებული. მათი აღდგენა და რემონტიც მხოლოდ რუსეთის თავდაცვის სექტორის საწარმოებშია შესაძლებელი.

რუსეთის სამხედრო უმაღლეს სასწავლებლებში დღეს [illegible] მეტი ქართველი ჭაბუკი სწავლობს. ეწყობა ერთობლივი სარდლო-საშტაბო წვრთნები, ოპერატიული შეკრებები, მიმდინარეობს საერთო-საჯარისო პოლიგონების აღდგენა. ერთია მხოლოდ საკითხავი — ვის წინააღმდეგ მეგობრობთ, ბატონებო?

საქართველოს სამხედრო დოქტრინა, რომელიც [illegible] მიღებული კონსტიტუციის გათვალისწინებით, „[illegible] ტერიტორიული მთლიანობის“ ურყეობან და გამორიცხავს [illegible] რომ მთავარსარდლის ბრძანებით საქართველოს [illegible] უწყებს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს. გენერალმა [illegible] ნიშნა, რომ არმიას სავსებით შესწევს ამის ძალა.

ეს არის ოღონდ, კვლავ არ დაგვიმტვრეთ კბილები“.

ერთი სიტყვით, ცნობილი ფაქტების კონსტატირებას [illegible] მლებსაც ვერ უგულებელყოფს, კორესპონდენტმა [illegible] დააპირა და მაინც ვერ შეიკავა თავი ავყიაობისგან.

მეორე კორესპონდენციაში გაზეთი გადმოგვცემს [illegible] წმის“ ნააზრევს. და ისევ ვამჯობინებ მცირეოდენი [illegible] ციტირებას: „ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 91 წლის [illegible] პოლკოვნიკ დოლგოპოლოვს, რომელიც მაშინ აფხაზეთის [illegible] გუდაუთაში დისლოცირებული საეროდრომო-ტექნიკური [illegible] ნაწილის 44-ე ცალკე ბატალიონის მეთაური იყო, მიუვიდა თავის ნაწილში მიეღო თექვსმეტი ჯავშან[illegible], ამგვარი ტექნიკა არასოდეს ყოფილა გათვალისწინებული [illegible] ნაწილებისათვის, მაგრამ არმიის შტაბში გაგზავნილი [illegible] ვის შიფროგრამები უპასუხოდ დარჩა. ჯავშანმანქანები [illegible] ტაში ჩამოვიდა. რამდენიმე თვის შემდეგ აფხაზეთში [illegible] ურესად გამწვავდა სიტუაცია, რესპუბლიკის საზღვრებში [illegible] ქართული ეროვნული გვარდიისა და „მხედრიონის“ თავმოყრა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ [illegible] საწყობებიდან მიღებული თავიანთი წილით.

1992 წლის აპრილში სოხუმში პირადად ჩავიდა [illegible] უკვე გენერლის ჩინით, შეხვდა აფხაზეთის მეთაურს [illegible] არძინბას. მალე პოლკოვნიკმა დოლგოპოლოვმა [illegible] უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით [illegible] რომ აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს [illegible] დროებით სარგებლობაში გადაეცა ექვსი ჯავშან[illegible] ნიგზის დაცვის ღონისძიებათა ჩატარების მიზნით [illegible] მანქანები ზედნადებების გარეშე გადასცეს.

იმავე ივლისში გუდაუთის სამხედრო სანატორიუმში ჩავიდა 96-ე დივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი იგოლკინი, რომელმაც დოლგოპოლოვს განკარგულება მისცა, საბრძოლო მასალით დაეხმარებინა აფხაზეთის შინაგანი ჯარების პოლკს.

აგვისტოში კი იმავე გუდაუთაში მოხდა თავდასხმა საინჟინრო-სარაკეტო პოლკის საწყობებზე, საიდანაც წაიღეს დიდი რაოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალები.

დოლგოპოლოვი: „მე საკუთარი უფროსობა მაძლევდა ბრძანებებს, გარდა ამისა, უნდა წარმოვიდგინოთ სიტუაცია: ჩემი ნაწილი განლაგებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე. ჯარისკაცები, ოფიცრები, მათი ცოლ-შვილი, მათზე პასუხისმგებლობა მთლიანად ჩემს მხრებს აწვებოდა. ძნელია იმის წინასწარმეტყველება, თუ რა მოხდებოდა საბრძოლო მანქანები რომ აფხაზებისათვის არ გადამეცა. ამიტომ, მე გადავეცი მანქანები, თუმცა, შესანიშნავად მესმოდა, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა ყველა შემთხვევაში, სხვათა შორის, გადავეცი ტექნიკა, ზედნადებების მიხედვით, მას შემდეგ, რაც მივიღე ქაღალდი არძინბასაგან და, ბუნებრივია, ყოველგვარი საზღაურის გარეშე“.

დოლგოპოლოვი შთამომავლობით დონელი კაზაკია. ამიტომ, [illegible] კაზაკობის აღორძინება დაიწყო, მან გადაწყვიტა, რომ [illegible] კავლის შემდეგ კაზაკებთან ერთად იქნებოდა. და, თუმცა, კადრის ოფიცრებს ეკრძალებოდათ კაზაკთა საქმეებში მონაწილეობა, ცდილობდა დახმარებოდა აფხაზეთის კაზაკობას, რომელმაც 1992 წლის მარტ-აპრილში დაიწყო აღორძინება სოხუმსა და გუდაუთაში. „აფხაზეთში ჩამოდიოდა სრულიად უცხო [illegible] ჯარის სალაშქრო ატამანი ანიკინი, სხვათა შორის, ჩემი ნა[illegible] მოვიდა. სოხუმშიც აირჩიეს ატამანი: შემდგომში, ომ[illegible] რუსეთის სამხრეთის კაზაკობა ერთ-ერთი პირველი [illegible] ხალხის დასახმარებლად. 92 წლის გაზაფხულზე მე მიმიღეს სრულიად ყუბანის კაზაკთა ჯარში. ვცდილობდი დავხმარებოდი მას, რითაც კი შემეძლო — ახალგაზრდა [illegible] ვაწყობდი მეცადინეობებს სამხედრო მომზადებაში, არმიიდან დათხოვნის შემდეგ უშუალოდ მოვეკიდე [illegible] კაზაკთა ოკრუგის პრობლემებს. 93 წლის მარტში მის ატამანად ამირჩიეს“.

ერთი სიტყვით, კარგად იმუშავა აფხაზეთში, ჰოდა აირჩიეს ატამანად. რაღა კომენტარია საჭირო...

მაგრამ, როგორც იტყვიან, რუსეთს თავისი პრობლემებიც აქვს. და თუ გავითვალისწინებთ დაღესტანში მძევლების აყვანის სკანდალურ ისტორიას, ამ პრობლემებმა დაჩრდილა საერთაშორისო საქმეები. თუმცა, „ნეზავისიმაია გაზეტა“ წუწუნებს, რუსეთის უსუსური საგარეო პოლიტიკის თაობაზე და, როგორც ყოველთვის, „მუშტებს იქნევს ჩხუბის შემდეგ“. ახლა, როცა კოზირევმა დატოვა თავისი პოსტი, გაზეთმა გამოარკვია, რომ მოსკოვის პოლიტიკას არ გააჩნდა რაიმე კონკრეტული პროგრამა „ახლო საზღვარგარეთის“ ქვეყნებთან ურთიერთობაში, რამაც, მიმომხილველების აზრით, გამოიწვია „არც თუ უსაფრთხო გარღვევა დსთ-ს ქვეყნებთან რუსეთის ურთიერთობაში“. ამან კი გამოიწვია „შორეული საზღვარგარეთის“ ინტერესების გამოცოცხლება. ჩემი აზრით, აქ საქმე დაბნეული რუსეთის ინერტულობაში კი არ არის, არამედ, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების აქტიურობაშია. და ეს მანძილი სულ უფრო გაიზრდება, თუ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს გაზეთი, — რუსეთი თავის საგარეო პოლიტიკაში უარს არ იტყვის „თავისუფალ თამაშზე“ და, დავამატებდი, ძალისმიერ ექსპერიმენტებზე.

რუსეთის სამშვიდობო ძალებმა გამოაცხადეს, რომ მზად არიან წავიდნენ ბოსნიაში, რათა იქ ნატოსთან ერთად შეასრულონ თავიანთი ტრადიციული „ინტერნაციონალური მოვალეობა“. ამასთან დაკავშირებით, როგორც „იზვესტია“ იუწყება, საჭირო გახდება 60 თვითმფრინავგაფრენა, 4 სარკინიგზო შემადგენლობა, ჯავშნიანი ტექნიკის 120 ერთეული, 300 ავტომანქანა. დასაწყისისათვის მხოლოდ ტექნიკურ უზრუნველყოფას დასჭირდება 78 მილიონი დოლარი, და კიდევ 20 მილიონი სამხედროთა ხელფასისათვის, რომელთა რიცხვი ორი ათასს გადააჭარბებს. მაგრამ, არავინ უწყის, სად იშოვიან საამისო ფულს. 1996 წლის ბიუჯეტში ეს თანხა გათვალისწინებული არ არის. გაეროს ნორმებით კი სამშვიდობო ძალების ერთი მონაწილის ხელფასი სულ ცოტა, სამი ათასი დოლარი უნდა იყოს.

ამასობაში „სოვეტსკაია როსია“, კომუნისტებს ურჩევს, სათავეში ჩაუდგნენ საგაფიცვო მოძრაობას, „რამდენადაც ეს პარტია ყველაზე ობიექტურად, მიუკერძოებლად და თანამიმდევრულად იცავს ჭეშმარიტი შრომის ადამიანების ინტერესებს“. ჩვენგან დავუმატებთ, რომ სწორედ ამ დაცვისათვის კომუნისტებმა სათათბიროში ბრძოლით მოიპოვეს 22 პროცენტზე მეტი ადგილი. ასე რომ, გაფიცვებში მათ მხოლოდ შეთავსებით შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.

მაგრამ თავის მეორე პუბლიკაციაში „სახალხო გაზეთი“ უფრო შორს მიდის, გაჰყვირის, — „განიარაღებული რუსეთი აიარაღებს ამერიკას“. საქმე ეხება კონვერსიის პროცესს, რასაც გაზეთი „ეროვნული ინტერესების ღალატად“ აცხადებს. ასე რომ, მიმდინარეობს საპარლამენტო ნიადაგის მომზადება ტოტალიტარული ზესახელმწიფოს იდეის რეანიმაციისათვის.

და ბოლოს, იმაზე, რაც სასაცილო იქნებოდა, ასე სამწუხარო რომ არ იყოს. „იზვესტიაში“ ექიმი ლ. მენდელევიჩი მოგვითხრობს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჩატარებულ არჩევნებზე, კლინიკის კედლებზე გაკრულ პლაკატებში მის მდგმურებს პირდებოდნენ „სულიერ სიმშვიდეს და დაწყნარებულ ცხოვრებას“. თვით ავადმყოფებს მიაჩნიათ, რომ მათი მდგომარეობა „არ არის დაბრკოლება მოქალაქეობრივი უფლებების განხორციელებისათვის“. ყოველ შემთხვევაში, ფსიქიურმა ავადმყოფებმა განაცხადეს, რომ „შეუძლიათ ყველა სხვაზე არანაკლებ გონიერი არჩევანი გააკეთონ“, თუ სათათბიროს არჩევნების შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი სიმართლეს ლაპარაკობდნენ.

იური მოსეშვილი.

სამართალი

ჩაშლილი ლაშქრობა

როგორ და რატომ მიდიოდნენ დასავლეთ საქართველოში თენგიზ კიტოვანი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი

როგორ მიდიოდნენ

„გასვლა" 1995 წლის 13 იანვრისთვის დაინიშნა.

აუცილებელი შტრიხი: ამ დროისთვის, თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 4 იანვრის № 2/5 გადაწყვეტილებით, „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი" უკვე ლიკვიდირებული იყო და საქმიანობა აკრძალული ჰქონდა.

1995 წლის 11 იანვარს „ფრონტის" შტაბბინაში (პასტერის ქ. № 7) გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ ფრონტის შტაბის უფროსი ზურაბ სამუშია და რეგიონული საბჭოების თავმჯდომარეები. იქ თენგიზ კიტოვანმა განაცხადა, რომ 1995 წლის 13 იანვარს „ფრონტი" მიდიოდა დასავლეთ საქართველოში, ხალხის განთავსება მოხდებოდა ქ. ფოთში, ზუგდიდსა და სენაკში.

ინფორმაცია დაზუსტებისთვის: 1994 წლის დეკემბერში თენგიზ კიტოვანმა ვალერი ფისიუნს განუცხადა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი 1995 წლის დასაწყისში უნდა წასულიყო დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. ფრონტში გაწევრიანებული იყო დაახლოებით 8 ათასი კაცი და დასავლეთ საქართველოში წასვლის შემთხვევაში ეს რიცხვი 15-25 ათას კაცამდე გაიზრდებოდა, რაც შეეხებოდა შეიარაღებას, იარაღი (რა თქმა უნდა, უკანონოდ დამალული) ჰქონდათ დასავლეთ საქართველოში, სადაც ფრონტის წევრები შეიარაღდებოდნენ (ვ. ფისიუნის ჩვენება).

1995 წლის 13 იანვარს უთენია დაიწყო ფრონტის წევრთა თავმოყრა პასტერის № 7-ში დასავლეთისკენ გასამგზავრებლად. მათ გადასაყვანად, თ. კიტოვანის მითითებით, თენგიზ სიგუას არაოფიციალური დაცვის წევრმა, უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრმა ვალერი გალდავამ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულ სხვა პირებთან ერთად, თბილისის სხვადასხვა ადგილიდან, უმეტესწილად კი რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედნიდან მოკვლის მუქარით აიძულა „იკარუსისა" და სხვა მარკის ავტობუსების მძღოლები (სულ 25 კაცი) მისულიყვნენ პასტერის ქუჩაზე და სენაკში წაეყვანათ თ. კიტოვანის, თ. სიგუას, ვ. ფისიუნის, ი. სურგულაძის, ზ. სამუშიას და სხვათა მიერ წაქეზებული უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრები და ის ხალხი, რომლებმაც გულწრფელად ირწმუნეს, რომ ხორციელდებოდა ხელისუფლებასთან შეთანხმებული ღონისძიება და შეუერთდნენ მათ — თითქოსდა აფხაზეთში მიმავალთ.

შეიარაღებული ფორმირების იმ წევრებს, რომლებსაც არ ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, თ. კიტოვანი და ამ ფორმირების სხვა ხელმძღვანელები ჰპირდებოდნენ, რომ იარაღს დაურიგებდნენ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სენაკში დაბანაკების შემდეგ. იარაღის ნაწილი მათ დაურიგეს გზაში. მსვლელობის დროს, რიკოთის უღელტეხილზე.

„წვრილმანია", მაგრამ მაინც სათქმელია: ქალაქიდან გასვლის წინ და შემდეგ, გზაში, დაიტაცეს როგორც სახელმწიფო ორგანიზაციების, ისე კერძო პირთა მატერიალური ფასეულობანი: 1750 ცალი პური, დიზელის საწვავი, არაყი, სიგარეტი და სხვ.

კოლონა დილის 12 საათზე გაუდგა გზას...

ინფორმაცია დაზუსტებისთვის: თენგიზ კიტოვანი არ მალავდა თავის განზრახვას აფხაზეთში საომრად წასვლის შესახებ. ძიებას უჩვენა, რომ 1995 წლის 10 იანვარს ის და სეგფ-ის სხვა ხელმძღვანელები შეხვდნენ პოლიტიკურ პარტიებს, სადაც მან დასვა საკითხი: თითოეულ პარტიას გამოეყო მეთვალყურე აფხაზეთში შესვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, იქ, სადაც მოეწყობოდა მეომართა შეკრება, დაეფიქსირებინათ მათი იქ ყოფნის კანონიერება. მაშინ აფხაზეთში შესვლის დრო არ დაგვითქვამს, ვინაიდან დასაზუსტებელი იყო თვით გასვლის დრო, ამ შეხვედრის შესახებ მხოლოდ ზოგიერთი პარტიისთვის იყო ცნობილი, როგორც ძიებას უჩვენებს, 1995 წლის 11 იანვარს პარლამენტის შეხვედრის დღეს, თამაზ ნადარეიშვილს განვუცხადე, რომ ვაპირებდით დასავლეთის მიმართულებით წასვლას. ამავე დღეს განზრახულის შესახებ ვუთხარი აფხაზეთის თითქმის ყველა დეპუტატს. საქმის კურსში იყვნენ თენგიზ სიგუა, ბორის კაკუბავა, ირაკლი სურგულაძე და პარტიის ყველა წარმომადგენელიო.

თენგიზ კიტოვანი შემდეგ ამბობს: ვხვდები, რომ ჩემს მიმართ ადგილი ჰქონდა პროვოკაციას, ვინაიდან ყველამ კარგად იცოდა, რომ 18 იანვარს მივდიოდი დასავლეთში, საიდანაც შემდეგ ვაპირებდი აფხაზეთში შესვლას, შეეძლოთ ეთქვათ, რომ არ წასულიყავი ან არ მოეცათ თბილისიდან გასვლის საშუალება, მაგრამ ეს არავინ გააკეთაო.

ძიებით დადგენილია: მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის ცნობილი გახდა თ. კიტოვანის განზრახვა შეიარაღებული ფორმირების წევრებთან ერთად გამგზავრებულიყო დასავლეთ საქართველოს მიმართულებით, 13 იანვრის დილას მასთან მივიდნენ სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელი მუშაკები ავთანდილ იოსელიანი, ჯემალ მიქელაძე, დემურ მიქაძე, რომლებმაც თ. კიტოვანს, ი. სურგულაძესა და სხვებს წინადადება მისცეს ხელი აეღოთ განზრახვაზე, რაზედაც თ. კიტოვანმა და მისმა თანამზრახველებმა კატეგორიული უარი განაცხადეს.

ამ დილის შეხვედრებს თ. კიტოვანიც არ უარყოფს, მაგრამ თავისებურად განმარტავს: ა. იოსელიანმა მითხრა, რუსი ფისიუნი აგენტია და რაიმე პროვოკაციაზე არ წამოგაგოსო. ვუპასუხე, რომ ფისიუნი მეხმარებოდა დოქტრინის წერაში, იოსელიანმა მკითხა, ამ აქციის შესახებ საქმის კურსში ჩააყენე თუ არა სახელმწიფოს მეთაურიო, რაზედაც ვუპასუხე, სახელმწიფოს მეთაურთან შენ ხარ ახლოს და შენ ჩააყენე-მეთქი საქმის კურსში. ჩემთვის დასავლეთ საქართველოში წასვლა არავის დაუშლია, რომც დაეშალა, ლტოლვილები არ დაიშლიდნენ. ა. იოსელიანმა გამაფრთხილა, იცოდე, რუსი დაგარტყამსო. მაგრამ ვუთხარი, გარანტია რომ არ მქონდეს, არც წავიდოდიო.

ი. სურგულაძე აჩვენებს, მართალია, ა. იოსელიანმა გააფრთხილა თ. კიტოვანი, არ წავსულიყავით, მაგრამ „არ დაუჯერეს, რადგან ხელი არავის შეუშლია".

დასავლეთისკენ თ. კიტოვანის, ი. სურგულაძისა და ვ. ფისიუნის ხელმძღვანელობით დაძრული კოლონა პირველად ნატახტრის საპოლიციო საგუშაგოსთან შეაჩერეს, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს გზის გაგრძელება.

ხელისუფლებამ მცხეთის, გორის, ხაშურის რაიონების ტერიტორიაზე დააკავეს რამდენიმე ავტობუსი, ჩამოართვეს ცეცხლსასროლი იარაღი და შიგ მსხდომნი ჩააბარეს მილიციას.

საბოლოოდ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის კოლონა იმავე საღამოს თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთთან შეაჩერეს და განაიარაღეს. დააკავეს 440 პირი.

უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრებს ჩამოართვეს 2 ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, 4 ხელის ტყვიამფრქვევი, 24 ავტომატი, 6000-მდე სამხედრო ვაზნა, 20 ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნის სასროლი საშუალება, 19 ყუმბარმტყორცნის სასროლი საშუალების შემადგენელი ნაწილის მუხტი, 27 ხელყუმბარა, 23 ასაფეთქებელი უნიფიცირებული ფალია, 2 ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, 6 სასიგნალო მაშხალა. მთელი ეს იარაღი და საბრძოლო მასალა უკანონოდ იყო შეძენილი.

ინფორმაცია განსჯისთვის: ჩამორთმეული იარაღის ნაწილი... „მითვისებულ იქნა (?!) გამოძიებით დაუდგენელი პირების მიერ, რის გამოც გამოყოფილია საქმე იარაღის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით".

თენგიზ კიტოვანისა და მისი შვილის ბინების, აგარაკის, მანქანის ჩხრეკისას აღმოაჩინეს უკანონოდ, სათანადო ნებართვის გარეშე შენახული კალაშნიკოვის ავტომატი, დრაგუნოვის კონსტრუქციის კარაბინის სისტემის შაშხანა, ჩეხური წარმოების 3 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, ასაფეთქებელი საშუალება (პაკეტი), „სტეჩკინის" კონსტრუქციის პისტოლეტი დიდძალი ვაზნით, ავტომატისა და კარაბინის 187 საბრძოლო ვაზნა, 1 ცალი საიერიშო მომქმედების ხელყუმბარა.

გამოძიებით დადგინდა: 1994 წლის 25 ოქტომბერს, წინასწარი სატელეფონო საუბრის შემდეგ, დაახლოებით 15 საათზე, თ. კიტოვანი ორი შეიარაღებული პირის (მცველის) თანხლებით, იარაღით ხელში შეიჭრა კავშირგაბმულობის მინისტრის ფრიდონ ინჯიას კაბინეტში, სადაც თავისი მხლებლებისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს თანამშრომლების თანდასწრებით შეურაცხყო იგი უცენზურო სიტყვებით, შუბლზე მიადო ცეცხლსასროლი იარაღი და მოუნდომა სამინისტროს კუთვნილი ტელეგადამცემი აპარატურის წართმევა. ყველაფრის მიუხედავად ფ. ინჯიამ თ. კიტოვანს ტელეგადამცემი აპარატურა არ მისცა.

უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობის ფაქტი დაადასტურა ყველა პიროვნებამ, რომლებიც განაიარაღეს და 1995 წლის 13 იანვარს წარმოადგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროში, თბილისის პოლიციის სამმართველოში და № 1 საგამოძიებო იზოლატორში.

ოღონდ ესეც არის: მათმა ნაწილმა არც იცოდა, თუ უკანონო საქმეს სჩადიოდა, ყველაფერი „შეთანხმებული" ეგონათ. იყო ადამიანების ძალით წაყვანის ფაქტიც. კახეთის ზონაში სეგფ-ის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ჯიმშერ ქორქოლიანმა თელავიდან იარაღის მუქარით ჩამოიყვანა ამ რაიონში თავშეფარებული რამდენიმე ლტოლვილი თბილისში, „ფრონტის" შტაბბინაში 12 იანვარს.

რატომ მიდიოდნენ

თენგიზ კიტოვანის ჩვენება ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას: ავტობუსებში ისხდნენ არა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრები, არამედ მეომრები, 800-1000 კაცი, ის ხალხი, ვისაც ძმა და დედ-მამა ჰყავდა დაკარგული. იარაღი ჰქონდა შეკრებილთა 20 პროცენტს. ძირითადად შეიარაღებული იყვნენ ავტომატებითა და ყუმბარმტყორცნებით. მისი მიზანი იყო, რომ მოლაპარაკება ეწარმოებინა რუსეთის სამშვიდობო ძალებთან, გაეგო, თუ როდის აპირებდნენ გასვლას აფხაზეთიდან და მერე შესულიყვნენ თვითონ. მისი მიზანი იყო აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიის დაბრუნება, ვინაიდან, როცა სახელმწიფოებრივი პოლიტიკა აგებს, მაშინ ხალხმა თვითონ უნდა აიღოს ხელში იარაღი და დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები — ამას ითვალისწინებს ჟენევის კონვენცია. ჩვენც ვალდებული ვიყავით დაგვეცვა საქართველოს ერთიანობა. მას პირადად ჰქონდა გაცხადებული ბუტროს-ბუტროს ღალისთან, რომ თუ ყველა დიპლომატიური გზა ამოიწურებოდა, საქართველო იტოვებდა უფლებას ძალისმიერი მეთოდებით დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები, იმედი ჰქონდა, რომ სახელმწიფო დაუჭერდა მხარს, თუნდაც არაოფიციალურად. შეჩერებისა და დაკავების დროს არავისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ვინაიდან მოერიდა სისხლისღვრას. არავითარი განზრახვა არც მას და არც მასთან ერთად მყოფ პირებს არ ჰქონიათ წინააღმდეგობა გაეწიათ ან ესროლათ ვინმესთვის, ვინაიდან ეს გამოიწვევდა სამოქალაქო ომსა და არეულობას. მე მქონდა იმის გარანტია, რომ მეომარი ხალხი მოგროვდებოდა. და თუ ომი დაიწყებოდა აფხაზეთში, იძულებული გახდებოდნენ დახმარება გაეწიათ მათთვის, ყველანაირად მოხდებოდა მობილიზაცია, თუ რუსეთი არ გაუწევდათ წინააღმდეგობას, იმის გარანტია ჰქონდათ, რომ აფხაზეთს დაიბრუნებდნენ.

ალეკო ასლანიშვილი.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 7.

ამ ტრიალ მსოფლიოში

ყიზლარის ტრაგედიის სისხლიანი ფინალი

ხუთი დღე-ღამის განმავლობაში დაღესტნის სოფელ პერვომაისკოეში რუსეთის ფედერალური არმიისა და მედესანტეთა ალყაში მოქცეული ჩეჩენი ბოევიკები (რომელთაც თავკაცობს ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერის ჯოხარ დუდაევის დისშვილის მეუღლე 28 წლის სალმან რადუევი), არ თანხმდებოდნენ გაეთავისუფლებინათ ყიზლარში მძევლებად აყვანილი ასზე მეტი ადამიანი, თუ მათ მშვიდობიანად არ დააბრუნებენ გუდერმესში, განუწყვეტელი მოლაპარაკება, რომელსაც მათთან აწარმოებდნენ დაღესტნის რესპუბლიკის ხელმძღვანელები, იმით დამთავრდა, რომ მათ უარი თქვეს მხოლოდ ულტიმატურ მოთხოვნებზე — გავიდნენ რუსეთის ფედერალური ჯარები ჩეჩნეთიდან და მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიიდან, ჯოხარ დუდაევთან მოლაპარაკება დაიწყონ რუსეთის უმაღლესმა ხელმძღვანელებმა. ოფიციალური მოსკოვი მძევალთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებასა და ტერორისტულ აქციაში მონაწილეთა დასჯას მოითხოვს, კვირას, დუდაეველებს კიდევ ერთი დღე მისცეს გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა მათ იმავე დღეს დილით უარყვეს რუსეთის ხელისუფალთა ულტიმატუმი: ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დაბრუნებამდე. გაეთავისუფლებინათ მძევლები და ჩაებარებინათ იარაღი.

მძევალთა განთავისუფლების პრობლემის გადასაწყვეტად (რომელმაც მთელს რუსეთში არაერთგვაროვანი და უკიდურესად მწვავე რეაქცია გამოიწვია, განსაკუთრებით საპრეზიდენტო არჩევნებისა და პარლამენტის ახლადარჩეული სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის დაწყების წინ) პერვომაისკოეს რაიონში ჩავიდნენ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ანატოლი კულიკოვი და მძევლების განთავისუფლების ოპერაციის ხელმძღვანელი, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორი მიხაილ ბარსუკოვი. კვირას, გვიან ღამით, დაღესტნის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მუჰამედალი მუჰამედოვი, ტელეფონით დაუკავშირდა რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს და სთხოვა მძევალთა განთავისუფლებამდე სოფელ პერვომაისკოეს რაიონში არ დაეწყოთ არავითარი სამხედრო მოქმედება.

მოსკოვის რადიოსა და ტელევიზიის ცნობით, სიტუაციის უკიდურესად გამწვავებასთან დაკავშირებით, რაც, როგორც აღნიშნავენ, კიდევ უფრო დაამძიმა ბოევიკების მიერ მძევლების დახვრეტის დაწყებამ, ვითარების შემდგომი გართულების თავიდან ასაცილებლად, ორშაბათ დილით კიდევ ერთი, ამჯერად ათწუთიანი ულტიმატუმი წაუყენეს სალმან რადუევის ბოევიკებს. მას შემდეგ რაც გაფრთხილება ყურად არ იქნა მიღებული, მოსკოვის დროით დილის ცხრა საათზე განახორციელეს სამხედრო ოპერაცია ვერტმფრენების გამოყენებით და სოფელი პერვომაისკოე ფაქტობრივად მთლიანად ფედერალური ჯარების ხელშია.

ჩეჩენი ბოევიკები აქა-იქ ჯერ კიდევ შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ ფედერალურ ძალებს. პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გუშინ საღამოს კვლავ განაცხადა, რომ ტერორისტული აქციის მონაწილეები მკაცრად უნდა დაისაჯონ.

მუშაობას იწყებს ახალი სახელმწიფო სათათბირო

16 იანვარს, მოსკოვში მუშაობას იწყებს რუსეთის პარლამენტის ახალი მოწვევის ქვედა პალატა — სახელმწიფო სათათბირო. პარლამენტის ქვედა პალატის ამ პირველ სხდომას უთავმჯდომარებს უხუცესი დეპუტატი 74 წლის გრიგორი გალაზი. კვირას, გაიმართა სახელმწიფო სათათბიროს 4 ფრაქციის (კომპარტიის, ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის, მოძრაობა „ჩვენი სახლი რუსეთია" და „იაბლოკოს") ლიდერების საკონსულტაციო შეხვედრა. ისინი კერძოდ, განიხილავდნენ პალატის სპიკერისა და მისი მოადგილეების კანდიდატურების საკითხს, როგორც ცნობილია, გასული წლის 17 დეკემბრის არჩევნებში 43 საარჩევნო გაერთიანებიდან მხოლოდ 4-მა შეძლო მოეგროვებინა სახელმწიფო სათათბიროში შესვლის ხმების საჭირო რაოდენობა.

ირაკლი ჟაფარიძე.

---

5 იანვარს გალის რაიონის სოფელ შეშელეთში სანაიების ოჯახის ამოწყვეტა აფხაზი სეპარატისტების მიერ, ქართველთა გენოციდის კიდევ ერთი ბარბაროსული აქტი, კვლავ და კვლავ გვაბრუნებს ჩვენი დიდი ტრაგედიის სათავეებთან: რატომ დაიწყო, ვისი მიზეზით, რა ფაქტორების ზეგავლენით აფხაზეთის სისხლიანი კონფლიქტი? იყო თუ არა შეიარაღებული დაპირისპირება გარდაუვალი?

გამოძიება გრძელდება

1992 წლის 14 აგვისტო ანატომიურ ჭრილში

ამ და ბევრ სხვა კითხვას თითქოს მრავალგზის გაეცა პასუხი.

მაგრამ სამწუხარო და სავალალო იყო ის, რომ განსხვავებული პოლიტიკური სამრეკლოებიდან დანახული ალტერნატიული მოსაზრებების დეკლარირებას უფრო ხელისუფლების სათავეში მოსვლის სურვილი ედო საფუძვლად, ვიდრე ისტორიული სიმართლის დადგენა, და — კიდევ უფრო იშვიათად — საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლა.

საბოლოო სიტყვა, რა თქმა უნდა, ისტორიას ეკუთვნის.

მაგრამ მანამდე სამართალმა უნდა იკისროს ამოცანა — აფხაზური აგრესიული სეპარატიზმის როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედების ყოველმხრივი, ობიექტურად დასაბუთებული მხილება კანონის ძალით და კანონის ნებით.

საქართველოს პროკურატურას დაეკისრა ამ ურთულესი მისიის შესრულება. თითქმის მეორე წლის თავზე საგამოძიებო ბრიგადამ დაასრულა გამოძიება.

და ჩვენი გაზეთისთვის ტრადიციულად — ინტერვიუ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილესთან ანზორ ბალუაშვილთან, რომელიც აფხაზი სეპარატისტების მიერ ქართველების გენოციდის სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ბრიგადას უდგა სათავეში.

— უფრო დეტალურად ამ საქმეზე საქართველოს პარლამენტის წინაშე მომიწევს გამოსვლა. ახლა კი — მოკლედ და მხოლოდ ძირითადზე.

„საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველები დამეთანხმებიან, რომ ნოემბრის არჩევნების წინა პერიოდში ბევრი პოლიტიკური ძალა, რომელიც პარლამენტისკენ ილტვოდა, პრეზიდენტობის მაძიებლები კვლავ და კვლავ მათი პარტიული და ამბიციური ინტერესებიდან გამომდინარე, უბრუნდებოდნენ აფხაზეთის კონფლიქტს და აშკარად დამახინჯებით, დაუსაბუთებლად, ხშირად ცილისმწამებლურად, ჩემთვის და ჩემი საგამოძიებო ჯგუფის წევრებისთვის შეურაცხმყოფელად აყალბებდნენ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაწყებულ და შემდგომ განვითარებულ მოვლენებს.

აქედანვე ხაზს ვუსვამ, რომ აფხაზი სეპარატისტების აგრესიულ ნაციონალიზმს, მისი გამოვლენის სხვადასხვა ფაქტებს სხვადასხვა პერიოდში, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, ანუ 14 აგვისტოსწინა ისტორიას არ შევეხები, რადგან პოლიტიკური ანალიზი პროკურატურის საგამოძიებო ჯგუფის კომპეტენცია არ არის.

ბრიგადამ უდიდესი მოცულობის და ურთულესი მუშაობა ჩაატარა, ერთის მხრივ, იმ მიზეზების გამოსაძიებლად, რომლებმაც გამოიწვია ქართველი მოსახლეობის გენოციდი აფხაზეთში, მეორე მხრივ, საქართველოს ამ უდიდესი ტრაგედიის ფაქტობრივი, სამართლებრივი დადასტურებისათვის.

ერთი უმთავრესი ბლოკი საგამოძიებო ბრიგადის მუშაობისა იყო უშუალოდ შეიარაღებული კონფლიქტის გამომწვევი გარემოებებისა და მიზეზების დადგენა. დაკითხულია ათასობით მოწმე, შევაგროვეთ უამრავი მტკიცებულებები, რომლებიც მხოლოდ ამ ერთ ეპიზოდს ეხება და რომელიც ათეულობით ტომში დაფიქსირდა.

დღეს შეიძლება პირდაპირ ვთქვა, რომ ჩვენ გვაქვს სრული და რეალისტური სურათი ტრაგედიის დასაწყისის.

ამ ეპიზოდის გამოძიების პროცესში აშკარად გამოიკვეთა ორი გარემოება. პირველი, — აფხაზ აგრესორ-სეპარატისტთა მზადება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სუვერენიტეტის ხელყოფისათვის საომარი მოქმედების პროვოცირების გზით. მეორე, — ამ დანაშაულებრივი მიზნების განსახორციელებლად საქართველოში მცხოვრებ გარკვეულ პირთა თანამონაწილეობა, საომარი მოქმედების პროვოცირებაში მათი უშუალო მონაწილეობა.

— თქვენ ამბობთ, რომ საქართველოში აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ პროვოკაციის შეგნებული ორგანიზატორები იყვნენ, საკუთარი ქვეყნის ინტერესები პირად ამბიციებს ანაცვალეს ანუ მოღალატეებად ჩამოყალიბდნენ?

— იცით, ჩვენთვის გამოძიების მონაწილეებისთვის დიდი ემოციური სტრესი იყო, როდესაც ვხედავდით, როგორ ყალიბდებოდა, ფაქტების ლოგიკით იკვეთებოდა ქვეყნის მოღალატის რეალური სახეები, რასაც აქამდე ისტორიის სახელმძღვანელოებიდან და კლასიკური ლიტერატურიდან ვიცნობდით.

დამიჯერეთ, რომ არ იყო ეს ჩვენთვის, სასხვათაშორისო მომენტი.

ახლა კი ფაქტებს მივყვეთ.

1992 წლის თებერვლიდან 14 აგვისტოს ჩათვლით დასავლეთ საქართველოში და აფხაზეთის ტერიტორიაზე ხდებოდა წარმოუდგენელი დანაშაულობანი, დათარეშობდნენ ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული ბანდფორმირებები, რომლებიც აფხაზ სეპარატისტებთან ალიანსში იმყოფებოდნენ და ამ დანაშაულობებს ჩადიოდნენ. მიზანი ერთი ჰქონდათ — გამოეწვიათ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კრახი.

ვფიქრობ, ყველას ახსოვს, და გამოძიებამ ეს ფაქტობრივად დაამტკიცა, რომ ყოველდღიურად აფეთქებდნენ გზებს, ხიდებს, სხვა სატრანსპორტო და კომუნიკაციის საშუალებებს, ბანდიტურად თავს ესხმოდნენ მატარებლებს, იტაცებდნენ ტვირთს, შეურაცხყოფდნენ მგზავრების მოქალაქეობრივ ღირსებას.

ბანდიტები თავს ესხმოდნენ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს, აზიანებდნენ მათ, იტაცებდნენ ადამიანებს, მათ შორის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებს, პარალიზებას უკეთებდნენ ადგილობრივ სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობას.

ერთი სიტყვით, ყველაფერი მიმართული იყო იმისკენ, რომ საქართველოში და არა მარტო საქართველოში — მეზობელ სომხეთშიც გარდუვალი ეკონომიკური კატასტროფა გამოეწვიათ.

მთელი ერთი ტომი საგამოძიებო მასალებისა დაეთმო იმ დანაშაულებრივი ფაქტების მხოლოდ აღნუსხვას, რომლებიც მოხდა 1992 წლის თებერვლიდან 14 აგვისტომდე, კელასურ-დრანდა, დრანდა-აძიუბჟა, აძიუბჟა-სალხინო, სახლინო-ინგირი, ინგირი-ცაცხვი — საქართველოს რკინიგზის ამ მონაკვეთებზე დაფიქსირებულია ლიანდაგებისა და რკინიგზის ხიდების 36 აფეთქება, 1142 ბანდიტური თავდასხმა. იმ პერიოდში დაიტაცეს 1993 ვაგონი ტვირთი. ფულის იმდროინდელი კურსით ზარალმა შეადგინა 11 მილიარდ მანეთზე მეტი. იმ პერიოდში აშშ დოლარისა და მანეთის შეფარდება იყო 1:97. იოლი გამოსაანგარიშებელია დატაცებათა რა მოცულობასთან გვქონდა საქმე.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლება, (მაშინდელი სახელმწიფო საბჭო) იძულებული გახდა გამოეცხადებინა საგანგებო წესები რკინიგზის ტრანსპორტზე — სადგურ ლესელიძიდან სადგურ სადახლომდე.

შეგახსენებთ, რომ ამ დადგენილების მთავარი მიზანი იყო რკინიგზაზე უსაფრთხო მოძრაობის აღდგენა, რათა საქართველოსა და სომხეთის მოსახლეობისთვის დაუბრკოლებლივ მიეწოდებინათ მათთვის განკუთვნილი სურსათი და სასიცოცხლო აუცილებლობის სხვა საქონელი, მათ შორის, სტრატეგიული პროდუქცია, საწვავი და ასე შემდეგ.

— ბატონო ანზორ, ყველა ეჭვი რომ გავფანტოთ, ერთი შეკითხვა: ბანდიტები თავს ესხმოდნენ სატვირთო მატარებლებს და იტაცებდნენ ხორბალს, ბენზინს, შაქარს და სხვა საქონელს. მოქმედებდნენ ცინიკური თავხედობით, მუქარით, დაშინებით, შანტაჟით. არ იყო ეს მუქარა ცარიელი სიტყვები. დამეთანხმებით, ალბათ, ასეთ ვითარებაში ძნელია იმის წარმოდგენაც კი, რომ ვინმეცა ამ ზარალს ზუსტად აღნუსხავს, აღრიცხავს, ქმნის შესაბამის დოკუმენტებს...

— და მაინც იქმნებოდა, იწერებოდა, აღინუსხებოდა. რკინიგზაზე მუშაობდნენ (ახლაც მუშაობენ) პატიოსანი და დიდი პირადი პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალები, რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. სხვათა შორის, მათ მიერ ზუსტად შედგენილი დოკუმენტები არის ერთ-ერთი სერიოზული სამხილი, რომელსაც გამოძიება ეყრდნობა.

— სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება რკინიგზაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ. მაგრამ ამ დადგენილებას განხორციელება სჭირდებოდა, რაც იმ ვითარებაში ძალიან ძნელი და რთულად მოსაგვარებელი საქმე იყო...

— და სწორედ ამიტომ და ამ მიზნით საჭირო გახდა შეიარაღებული ძალის გამოყენება, მაგრამ ზუსტად და მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში.

მე წაგიკითხავთ ამონარიდს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 10 აგვისტოს სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერიდან:

„ედუარდ შევარდნაძე: ...საჭიროა ლესელიძიდან სამტრედიამდე 2-3 ბანაკი მოეწყოს. ერთ-ერთი ბანაკი უნდა იყოს ლესელიძეში. არცერთი მათი წარმომადგენელი არ შევა ქალაქებში, სოფლებში... ყველა ეს ბანაკი ქალაქიდან იზოლირებული იქნება. ქალაქებსა და სოფლებში წესრიგის დასაცავად რჩება ადგილობრივი მილიცია. ხაზს ვუსვამ, რომ ქალაქებში, სოფლებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სამხედრო ნაწილები გამოყენებული არ იქნება და ისინი უშუალო კონტაქტში მოსახლეობასთან არ შევლენ... გაძლიერდება ხიდების, გადასასვლელების დაცვა და მთელი ის ინფრასტრუქტურა, რომელიც დაკავშირებულია რკინიგზის მოძრაობასთან.

აქ ჩვენ გვიჭირდა ფინანსური საკითხის მოგვარება. აი, ბატონ თენგიზთან (ლაპარაკია თენგიზ სიგუაზე. — რედ.), ერთად დიდხანს ვთათბირობდით ამაზე და მივედით დასკვნამდე, რომ გვირჩიენია რკინიგზის დაცვაზე დავხარჯოთ მეტი ფული, რადგანაც ზარალი ათჯერ, ათასჯერ მეტია და უკვე 10 მილიარდს მიაღწია.".

ამ სიტყვებს, ამ იდეას ადასტურებს სახელმწიფო საბჭოს 10 აგვისტოს სხდომის ყველა მონაწილე.

ასეთი იყო ფაქტი, გნებავთ, ისტორიული სიმართლე. ამ სახელმწიფოებრივი აქტის განხორციელების მიზანი, ვიმეორებ, იყო საქართველოს მოსახლეობის დაცვა შიმშილით ამოწყვეტის მოსალოდნელი საშიშროებისაგან.

ამ ფაქტის ყველა სხვაგვარი ინტერპრეტაცია არის იმ დამნაშავეთა წისქვილზე წყლის დასხმა, [illegible] სინდისზეცაა ეს უმძიმესი დანაშაული.

მეტსაც გეტყვით.

ამ საქმის გამოძიების დროს ჩვენ, ბუნებრივია, შეხება გვქონდა დამარცხების მიზეზებთან და აქ აშკარად გამოიკვეთა ღალატი. უფრო მეტი უბედურება, რომ მოღალატეები სხვას დებენ ღალატში ბრალს!

— მაგრამ ეს ღალატი არ უნდა იყოს მარტივი, ასე ვთქვათ, კლასიკური ტიპის ღალატი, არა?

— გარკვეულწილად დაგეთანხმებით, რადგან ეს ღალატი კარგად ორგანიზებულია, მრავალპლანიანია, მრავალმიზნიანი და მასშტაბური, ამასთან, სტატისტებს „სტრატეგოსების" როლი აქვთ დაკისრებული და მათ თვითონ სჯერათ ამისი. აქ იმდენი და ისე მრავალფეროვანი კოლიზიებია, იმდენი ნიუანსია, რომ მარტივ ფორმულას ვერც მოძებნი: ყველას თავისი კონკრეტული დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ იმის უკან კიდევ სხვა ძალა დგას, სხვა ალიანსი იკვეთება. მერე ეს წრე ერთ უმძიმეს დანაშაულად იკვრება — ღალატად ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რაც გამოძიების ათეულ ტომშია აღნუსხული.

კიდევ ერთი ციტირების უფლებას მივცემ თავს.

„...ახლანდელი პარლამენტის წევრთა (ლაპარაკია წინა შემადგენლობაზე. — რედ.) გარკვეულ რაოდენობას ჰქონდა კავშირები ჩვენთან. დარწმუნებული ვარ და ვაცხადებ, რომ არ ყოფილიყო ჩემს მიმართ ზემოთ დასახელებული პირების მხრიდან აღწერილი ქმედებები — წაქეზება ურთიერთდაპირისპირებისაკენ... არც აფხაზეთი დაიკარგებოდა და არც საქართველოში განვითარდებოდა უმძიმესი მოვლენები... პარლამენტის წევრებს... რომ არ დაეწყოთ საიდუმლო კავშირების ძებნა გამსახურდიასთან და ჩემთან, მოვლენები უკეთესად განვითარდებოდა.

მე ვიცი, რა მძიმე ბრალდებები მაქვს წაყენებული, მაგრამ უნდა ვთქვა, — ვიდრე თანამდებობის გულისთვის ზოგ-ზოგი არ შეწყვეტს ბრძოლას, საქართველოში მანამდე მშვიდობა არ დამყარდება".

ეს განუცხადა გამოძიებას ბრალდებულმა ვახტანგ (ლოთი) ქობალიამ.

— რა თქმა უნდა, ქობალიას მიერ დასახელებულ პირებს თქვენ არ ჩამოთვლით.

— რასაკვირველია, არა და თქვენ იცით, რომ ეს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარეობს, მაგრამ რამდენიმე საკითხს კი შევეხები ისეთს, რომელთა სპეკულაციურ გამოყენებას არჩევნების პერიოდში საკმაოდ ინტენსიურად ცდილობდნენ. საქმე ეხება აფხაზეთის ომის დაწყების დეტალებს.

მე უკვე ვახსენე სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992 წლის 10 აგვისტოს მიღებული დადგენილება.

ამ დადგენილებით მაშინდელ თავდაცვის მინისტრს თენგიზ კიტოვანს დაევალა უზრუნველეყო უსაფრთხო მოძრაობა რკინიგზაზე, არავითარ შემთხვევაში კონტაქტში არ შესულიყო მოსახლეობასთან, ჩვენი შეიარაღებული ძალების ნაწილები არ შეეყვანა დასახლებულ პუნქტებში, სოფლებში, განსაკუთრებით — ქალაქებში.

სავსებით კონკრეტული მარშრუტით მათ უნდა ემოძრავათ ლესელიძემდე და შემდეგ, იქიდან მოყოლებული, უზრუნველეყოთ რკინიგზაზე მოძრაობის უსაფრთხოება.

საქმის მასალებით უტყუარად არის დადგენილი, რომ თენგიზ კიტოვანმა ეს განკარგულება არ შეასრულა.

— რას ნიშნავს „არ შეასრულა?" თავდაცვის მინისტრი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებას თუ არ ასრულებს, საერთოდ რა ხელისუფლებაზე შეიძლება ლაპარაკი?

— უნდა გაგახსენოთ, რომ იმ პერიოდის ვითარება საქართველოში ფრიად თავისებური, გამორჩეულად განსხვავებული იყო, — აბსურდამდე უნიკალური. სახელმწიფო საბჭოს ოთხი წევრიდან სამს სახელმწიფო მშენებლობის, მართვის არც გამოცდილება ჰქონდა, ზოგიერთს — არც უნარი შესწევდა. მაგრამ, უბედურება ის იყო, რომ ყველა თანაბარი უფლებით სარგებლობდა, მეტიც — ჰქონდა ვეტოს უფლება.

ამასწინათ ზოგიერთმა იმის მტკიცება დაიწყო, რომ თითქოს არ ეთანხმებოდა 10 აგვისტოს გადაწყვეტილებას. ჩვენ, გამოძიებას შეკრებილი გვაქვს და საქმეს თან ერთვის ყველა დოკუმენტი, რომლებიც ამტკიცებს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია, არც გამოთქმულა და არც შეიძლება გამოთქმულიყო საწინააღმდეგო აზრი, რადგან ყველას კარგად ესმოდა, რომ ქვეყანაში იყო კატასტროფისწინა ვითარება.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, სეპარატისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა, აწ გარდაცვლილმა ვორონოვმა განაცხადა, ვითარება, რომელიც სოხუმშია შექმნილი, გამიზნულია იმისთვის, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, უშუალოდ თბილისში შიმშილით იქნას ამოწყვეტილი მოსახლეობა, მათ შორის, ბავშვები, მოხუცები, ქალები.

ამ სიტუაციაში 10 აგვისტოს გადაწყვეტილების მიუღებლობა ან გადადება მხოლოდ დააჩქარებდა კატასტროფას.

— მაგრამ კატასტროფა მაინც მოხდა, შეიარაღებული კონფლიქტი მაინც დაიწყო...

— მეტსაც გეტყვით, — არ შეიძლებოდა, რომ არ დაწყებულიყო და ამას ადასტურებს უამრავი მტკიცებულებანი, ბევრი საიდუმლო მასალა გავშიფრეთ, შევაგროვეთ, რომელთა ანალიზს ერთადერთ დასკვნამდე მივყავართ — ომი მაინც დაიწყებოდა.

მაგრამ, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, — არ მოხდებოდა ისე და იმ სახით, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა.

ამაში, დამერწმუნეთ, არის ბევრი ქვეტექსტი და ნიუანსი, რაც ერთი შეხედვით, საქმეში გაურკვეველი კაცისთვის შეუმჩნეველია.

ვიმეორებ, თენგიზ კიტოვანმა არ შეასრულა სახელმწიფო საბჭოს დავალება — პირადად ჩასულიყო არძინბასთან, რომელსაც ელაპარაკა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, შეეთანხმებინა დისლოკაციის ადგილები და მოძრაობის მარშრუტი. თვითნებურად გაემგზავრა აფხაზეთისკენ, იქ ოხურეისთან 14 აგვისტოს, იცით, რომ მოხდა შეიარაღებული შეტაკების პროვოცირება — შემდეგ კი სოხუმში შევიდნენ ჩვენი შეიარაღებული ძალები.

— 18 აგვისტოს დღის პირველ ნახევარში ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად მეც მომიწია სოხუმში ჩასვლა...

— და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ცნობა სოხუმში შესვლის შესახებ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო, რადგან ასეთი რამ კიტოვანს არ ჰქონდა დავალებული, არც შეიძლება ჰქონოდა.

— ჟურნალისტები იმის მოწმენი ვართ, რომ ედუარდ შევარდნაძემ კიტოვანი იმავე დღეს სოხუმიდან სასწრაფოდ თბილისში გამოიძახა..

— კიდევ ერთ ციტატას წაგიკითხავთ, ნაწყვეტს აფხაზეთის იუსტიციის მინისტრის ოთარ ბენიძის განცხადებიდან. ასეთი მასალები რამდენიმე ათეული გვაქვს:

„მე ვიმყოფებოდი მთავრობის აგარაკზე. აქვე იმყოფებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან ნაპოლეონ მესხია და სხვები. აქვე იყვნენ ბატონები თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა. დაახლოებით 10 საათზე თბილისიდან დარეკა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. ტელეფონთან პირველად მივიდა დეპუტატი მესხია. მან გვითხრა, რომ ტელეფონის ხაზზეა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც იხვეწება, რომ არ შევიდეს სამხედრო შეიარაღებული ძალა სოხუმში.

ბატონი შევარდნაძე თბილისიდან ყოველ 10-15 წუთში რეკავდა.

ბოლოს მე მივედი ტელეფონთან. ბატონმა შევარდნაძემ იგივე გამიმეორა: — ყველაფერი ილონეთ, რომ სამხედრო ძალა არ შევიდეს სოხუმში, რომ ეს იქნება დამღუპველი მთლიანად საქართველოსთვის, გამოუსწორებელი შეცდომა. შევარდნაძე ჩემთან და იქ მყოფ დეპუტატებთან საუბარში თხოულობდა, რომ ტელეფონთან მისულიყვნენ და დალაპარაკებოდნენ ბატონები თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა, მაგრამ მათ ყურად არ იღეს, იგნორირება გაუკეთეს შევარდნაძის ამ მოთხოვნას, მის მუდარას.

ამის შემდეგ თენგიზ კიტოვანმა გასცა ბრძანება და ჯარიც შევიდა ტექნიკით სოხუმში. შემდეგ რაც დატრიალდა, ყველამ კარგად იცის".

ასეთი მტკიცებები საქმეში უამრავია.

— რა იყო ეს? დაუმორჩილებლობის დემონსტრაცია, თავის გამოჩენის ცდა, ბოლოს და ბოლოს — ღალატი?

— გამოძიებას ამაზე თავისი შეხედულება აქვს, რაც დოკუმენტებიდან, ფაქტებიდან, ჩვენებებიდან გამომდინარეობს და დაფიქსირებულია საქმეში.

უბედურება ისაა, რომ მსგავს გამოვლინებებს აფხაზეთის ომის პერიოდში არაერთხელ ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით, ავად გასახსენებელ 1993 წლის სექტემბრის თვეში, როდესაც აფხაზმა სეპარატისტებმა დასავლეთ საქართველოში მოკალათებული შეთქმულების თანხმობით და დახმარებით 16 სექტემბერს განაახლეს საბრძოლო მოქმედებები.

მაშინ, გახსოვთ, რა თქმა უნდა, რომ სოხუმის დასაცავად მთელი საქართველო დადგა ფეხზე.

მაგრამ გამოძიების მიერ დადგენილია, რომ სწორედ ამ პერიოდში გარკვეული საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე პირებმა გააქტიურეს მოქმედება, რათა რამენაირად მოეხდინათ სახელმწიფოს მეთაურის ფიზიკური განადგურება სოხუმში, რაც მათ გზას გაუხსნიდა ხელისუფლებისაკენ.

პანიკა, რომელსაც 16-დან 27 სექტემბრის ჩათვლით თესავდნენ, ცრუ დაპირებები დასახმარებლად წასვლისა და არწასვლა, თანამოძმეთა დასაღუპავად განწირვა, ყველაფერი ეს და სხვა უარესი სწორედ ამ მიზნისთვის კეთდებოდა. ასე მოქმედებდნენ ის პირები, რომელთა ვინაობა გამოძიებას დადგენილი აქვს და ვაგრძელებთ ამ მიმართებით მუშაობას.

ძალიან ცუდად გამოიყურება ამ საქმეში უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფი იგორ გიორგაძე. (ამაზე თქვენთან საუბარში ერთხელ უკვე ვთქვი), რომელიც დანაშაულებრივ ალიანსში იმყოფებოდა ქობალიასთან, აძლევდა მითითებებს, ინსტრუქციებს, არიგებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ შერიგებოდა სახელმწიფო სტრუქტურებს, გაეგრძელებინა ბრძოლა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. ფაქტობრივად კი — საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

იმასაც გეტყვით, რომ წამქეზებელი მარტო გიორგაძე არ იყო.

ხალხმა ყველაფერი იცის. ისტორია და სამართალი თავის სათქმელს იტყვის.

— მანამდე გექნებათ საშუალება ჩვენს მკითხველებს შეხვდეთ აფხაზეთში ქართველების გენოციდის სისხლის სამართლის საქმის თაობაზე სასაუბროდ?

— გპირდებით. აუცილებლად.

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე.

ქრონიკა

მეხანძრეთა თავგანწირვამ ბავშვის სიცოცხლე იხსნა

საბურთალოს ქუჩაზე, № 67 სახლში, მოქალაქე ხილავას ბინაში, გაჩნდა ხანძარი. მრავალსართულიან სახლში მეხუთე სართულზე, სტიქიასთან პირისპირ აღმოჩნდა ბებია მცირეწლოვან შვილიშვილით — ოთახში აფეთქდა გაზის ბალონი და კონდიციონერი.

საბურთალოს რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო სამხაშრის რაზმის ოცმეთაური, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ალექსი ამბროხიშვილი და ათეულის მეთაური, პოლიციის უფროსი სერჟანტი ზურა მაჭავარიანი, სიცოცხლის რისკის ფასად შეიჭრნენ ალმოდებულ ბინაში და სამშვიდობოს გამოიყვანეს განსაცდელში მყოფი ადამიანები.

14 საათისათვის ხანძარი საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული.

საქინფორმი.

დაარსდა მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილება

საქართველოს მწერალთა კავშირის, მისი თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძის მხარდაჭერით საშვილიშვილო საქმე გაკეთდა — დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილება.

განყოფილების დამფუძნებელ კრებაზე საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად აირჩიეს ახალგაზრდა პროზაიკოსი ნელი ჩალაური, მოადგილედ — მწერალი რობერტ ოდიკაძე.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, კავშირის გორის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ჭუმალ ინჯია.

გურამ ფაშაკიძე.

ნორჩი მომღერლის ქველმოქმედება

ბავშვთა ფედერაციისა და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს, ნორჩ მომღერალს, თბილისის V გიმნაზიის IX კლასის წარჩინებულ მოსწავლეს ილონა ასლანიშვილს დღეს წარდგენა არ სჭირდება. მას იცნობენ ჩვენთან, იცნობენ საზღვარგარეთაც. ილონა გახლავთ დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი, „ვარნა 94"-ის ოქროს მედლის მფლობელი, საბერძნეთის ქალაქ სალონიკის საპატიო მოქალაქე.

ამას წინათ პეტრე ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამის თეატრში გაიმართა ილონა ასლანიშვილის საახალწლო სოლო კონცერტი, რომელსაც მისი ნიჭის უამრავი თაყვანისმცემელი დაესწრო. აღსანიშნავია მომღერლის სურვილი — კონცერტზე შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება მშობლიური გიმნაზიის ანგარიშზე და მოხმარდება მის აღორძინებას.

თამაზ კერვალიშვილი.

სუფთა მტკვარი და სხვა

ნაყოფიერი გამოდგა ამას წინათ გამართული თათბირი გარემოს დაცვის სამინისტროში. სიტყვით გამოსულებმა: მინისტრმა, მინისტრის მოადგილეებმა, სამმართველოს უფროსებმა და სხვებმა, მიმოიხილეს საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობა და დასახეს გზები ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მოიწონეს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუშაობა ერთიან პროექტზე, რომლითაც ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელებაა გათვალისწინებული.

საქართველოს და აზერბაიჯანის წარმომადგენლები შეთანხმდნენ ერთობლივად იზრუნონ მდინარე მტკვრის გასუფთავებისათვის და მომავალში გაჭუჭყიანებისაგან მის დასაცავად.

შოთა თევდორაძე.

ბორჯომის დღიური

იმედის ნაპერწკალი

ქუდები მოიხადეთ, ბატონებო, ბავშვები მობრძანდებიან...

ბედნიერება, ეს არის შეგრძნება, რომელიც უკვე მესამე დღეა დამეუფლა და ამ გაუსაძლის ბოლო წლების მანძილზე აქ ტკბილად მომეძალა, რადგან ამდენი ნიჭიერება და სუფთა, ლამაზი სახე უზარმაზარ იმედს ბადებს, ეს იმ შეგრძნებას ჰგავს, ბავშვობისას რომ მქონდა — დილას რომ ვიღვიძებდი, რაღაც ამოუცნობი სიხარული მეუფლებოდა და ვიცოდი, წინ დიდი და ლამაზი ცხოვრება იყო, რომელიც დიდხანს, დიდხანს არ დასრულდებოდა...

ბორჯომში, ლიკანში, ბაკურიანში ნიჭიერი, მშვენიერი ბავშვები ღამის 12 საათზე ალილოს სიმღერით შეხვდნენ შობას.

„კომპოზიტორების სახლში" მაია ჩაჩავა, თამრიკო აზარიაშვილი, მაკა ჩხარტიშვილი, თამუნა გაგნიძე, მარიკა მათიაშვილი, სლავა ჩერქეზიშვილი კონცერტის წინ ისე ღელავდნენ, თითქოს უამრავი მაყურებლის წინაშე იწყებდნენ წარმოდგენას.

გუბერნატორი, გამგებელი, მთელი „მომსახურე პერსონალი" ბავშვებს თვალებში უყურებს — ახლა ისინი არიან ყველაზე „დიდი ბატონები და ქალბატონები".

21-ე საუკუნეში უნდა აჟღერდეს მათი სიმღერა, ითქვას მათი ლექსი, ესენი გაუძღვებიან ქვეყანას...

მამა ბავშვობისას მეუბნებოდა: „კარგი რამ გპირდეს, გიკვირდეს, აგი რა საკვირველია". ახლა კი ვფიქრობ, აღარ მიკვირს ეს კარგი. ეს ის სილამაზეა, რაც დღეს და გუშინ აქ დავინახე. აღარ მიკვირს კარგი, რადგან დაიძრა ყინული და ჭეშმარიტებამ იგი გამოანათა, როგორც მაგიურმა კრისტალმა. ჭეშმარიტება კი ამ ახალ წელს დაბადებული იმედია, ის იმედია, რომელიც ლიკანშიც იბადება, როცა უნიკალური პიროვნება პეტრე ისქულიანი დილის 7 საათიდან ღამის 12 საათამდე კაბინეტიდან არ გამოდის, რადგან ყველა ინფორმაცია აქ იყრის თავს, ბავშვები თბილად არიან და საკონცერტო დარბაზში პატარა ინტელექტუალები ერთმანეთს არ აცლიან თამაშს.

დღეს, 9 იანვარს „მართვე" და „მერანი" სამღერლად და საცეკვაოდ ბაკურიანში მიდიან, იქ ლტოლვილი ბავშვები და სპორტსმენები ელოდებიან.

თეიმურ მაღრაძე ახალციხიდან „საგუბერნატოროდან" „კომპოზიტორებში" გამოცხადდა და ბატონ კუკურისთან და მარიკა მათიაშვილთან ერთად ხან სანტექნიკოსებს დასდევს, ხან ელექტრიკოსებს.

ბავშვები საღამოს კონცერტისათვის ემზადებიან.

ბორჯომში ზეიმია.

ბავშვების საყვარელი „ფიგარო" კობა გილაშვილი ამ საშობაო არდადეგების იდეის ავტორი და პასუხისმგებელი, ალბათ ახლა ბაკურიანშია, ან „სამხედროებში", წინ კიდევ საახალწლო ზეიმი-კარნავალია.

დღეს „კომპოზიტორებში" ცხელ წყალს გვაძლევენ!!

რეზო ჰანიშვილი თავის „მერანის" ბიჭებს მესამე სართულზე დერეფანში ავარჯიშებს, პატარა რაინდები მონდომებით ვარჯიშობენ, ბატონ რეზოსთან და აგული ქავთარაძესთან მუხლის ცუდად ჩაჩრა არ გამოვა.

„ნატვრის ხის" საღამოზე ყველა ანთებდა სანთელს სურვილის ჩასაფიქრებლად, ნუკა სებისკვერაძე კი იწვევდა სტუმრებს და მასპინძლებს სიურპრიზების მოსათხრობად ან სამღერლად.

ბავშვებში გაერია თაზო თოლორაიაც, ყველა უფროსი...

ნორჩმა მხატვრებმა სახელდახელო გალერეა მოაწყვეს...

ქეთი დოლიძე,
ბორჯომი, „კომპოზიტორების სახლი".

საღამო, რომელიც უნდა განმეორდეს

ანშლაგი

ხელოვნების მუშაკთა სახლი დღითიდღე აქტიურებს თავის მოშაობას, ძალას იკრებს და კვლავ იქცევა იმ ცენტრად, რომელიც აერთიანებს ქართული ხელოვნების წარმომადგენლებს. ასეთია ამ სახლის პირდაპირი დანიშნულება — ყოველმხრივ გააშუქოს ქართული ხელოვნების მიღწევები, მოიცვას მისი წარმატებები, გამოავლინოს და მხარი დაუჭიროს ნიჭიერებას ლიტერატურასა და თეატრში, კინოსა და მუსიკაში, სახვით და ხალხურ შემოქმედებაში, ერთი სიტყვით ყველაფერში, რაც ჩვენი ქრონული კულტურის სიმდიდრეს წარმოადგენს.

სულ ახლახან, ახალი წლის წინ აქ, ამ სახლში გაიმართა შესანიშნავი მუსიკალური საღამო, სადაც კიდევ ერთხელ გაბრწყინდა მშვენიერი მომღერლის — მედეა ძიძიგურის ხალასი ნიჭი, მომხიბვლელობა, ვოკალური და სცენური ოსტატობა.

მსახიობის არჩევანი რუსულ რომანსებზე შეჩერდა. მომღერლის მიერ არჩეულ რომანსებს შორის იყო ჩვენთვის თითქმის ბავშვობიდან კარგად ცნობილი ნაწარმოებები. ნაცნობი ჰანგები უნებურად მეხსიერებასა და გულში ბადებდნენ სევდიან და, ამავე დროს, ულრმესად სასიამოვნო და კეთილ გრძნობებს და სახელებს, ისეთ სახელებს, როგორიც არის თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე, კლავდია შულჟენკო და ბევრი, ბევრი სხვა.

მე ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ეს შესანიშნავი ტრადიცია მკვეთრად გამოვლინდა ჩვენი მედეა ძიძიგურის შესრულებაში. თითოეული სიმღერისთვის მის მიერ მონახული იყო სათანადო დამოკიდებულება. ყოველი მუსიკალური და ტექსტობრივი ფრაზაც ღრმად და ფაქიზად იყო გააზრებული, აქ არ იყო „ცარიელი ადგილები", აზრის დაკარგვა. აქ სუფევდა მუსიკისა და ტექსტის ღრმა გააზრება, გულისა და სულის თრთოლა, ღრმა შინაგანი განცდა. ხელოვნების ენაზე ამას ოსტატობა ჰქვია. ეს ოსტატობა განსაკუთრებით გამოვლინდა ხმის მშვენიერ ფლობაში. ლაღად და თავისუფლად ჟღერდა ყოველი ფრაზა, ბგერა, მუსიკალური ნიუანსი... როგორც ფასეული დაგვირგვინება, სცენურ მოქმედებაში ერთვებოდა მსახიობის პლასტიკა, მოძრაობების მუსიკალურობა, ეს თავისებური მუსიკალური სინთეზი ქმნიდა კონცერტის შესანიშნავ დაგვირგვინებას. არ შეიძლება აქ არ აღვნიშნოთ ბრწყინვალე კონცერტმაისტერის ინგა თბილელის შესრულება. მკაფიოდ იგრძნობოდა მომღერლისა და კონცერტმაისტერის ღრმა შინაგანი კონტაქტი, მათი პროფესიონალური ურთიერთგაგება.

ვფიქრობ, რომ ეს საღამო აუცილებლად უნდა განმეორდეს. უსამართლობა იქნება, თუ მას უფრო მეტი ხალხი ვერ დაესწრება. ამ „პრობლემის" გადაჭრა ეკალება თვითი მედეა ძიძიგურს — ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორს, სახლისა, რომელიც გერონტი ქიქოძის ქუჩაზე, № 8-ში მდებარეობს...

ეთერ გუგუშვილი.

გამოსათხოვარი

ხათუნა საბაშვილი

ხათუნა საბაშვილი — დიდი ოჯახის სტუმართმოყვარე დიასახლისი, დედ-მამის ნანატრი შვილი, შვილებზე გადაგებული დედა, მშვიდი და მოალერსე მეუღლე.

შენ, მართლაც, გმირი ყოფილხარ! თურმე არ გიცნობდით. ბედისწერასთან ჭიდილში, თვალშეუვალიც კი აქეთ გვამაგრებდი. ჩვენო ძვირფასო, ვაჟკაცო ქალო. ისევ შენ აიმედებდი შენი უბედობით დატანჯულ დედას — სისილი დედიდას, შენს საყვარელ მამას, შენს მეუღლეს — დათოს, შენით რომ სულდგმულობდა და სამართლიანად ამაყობდა. ერთხელ მაინც გატეხილხარ, თურმე, „ეჰ, დაქალებაც ვერ მოვასწარიო", — დანანებით დაგიჩივლია.

მადლობა უფალს, შენს ცხოვრებაში მაინც მოესწრო კეთილი ზღაპარი, რომელსაც ბავშვობა და გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ „მზიურის" პირველი თოთხ უცვლელი წევრობა ჰქვია. ათი წლიწადი ერთგულად ემსახურებოდი საერთო საქმეს, შენი ვოკალი განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებდა როგორც ქართულ პოლიფონიურ სიმღერას, ასევე თანამედროვე საესტრადო მუსიკასაც. საორკესტრო პარტიებსაც ასრულებდი. გახსოვს, შენი სიმღერა: „მოდით, ერთად ვიმღეროთ, მოვიაროთ მთა-ბარი"?!

როგორ მენატრებოდი იმ დროს, როცა ერთად ვმღეროდით, ყველაზე მეტად ერთმანეთთან ყოფნა გვიხაროდა... თურმე, როგორ გინდოდა ბავშვობა გაგვეხსენებინა, ერთად გვენახეთ: „გოგოებო. მოდით ხოლმე, ძალიან მენატრებით" — ღიმილით გვსაყვედურობდი.

მძიმედ დაავადებულიც ჩვენ გველოდებოდი. ჩვენ ძალიან გვიყვარდი — დიდხანს, დიდხანს...

წლეულს ანსამბლ „მზიურს", დაარსებიდან ოცდახუთი წელი უსრულდება. ისევ შევიკრიბებით, უშენოდ... და თუ ძალა გვეყო, რომ ერთხელ მაინც ერთად ვიმღეროთ, შენი ხმა შემოგვაშველე. ჩვენ გავიგებთ!

ხომ იცი, გაგვიჭირდება უშენოდ, ჩვენო სიფრიფანა, ლამაზო, უწყინარო ქალბატონო, ჭკვიანი და ყოველთვის სევდიანი თვალებით რომ უყურებდი ცხოვრებას.

„მზიურის" გოგონები

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის განცხადება

გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტიში" (87, 1995 წ.) გამოქვეყნდა ჟურნალისტ აკაკი მიქაძის წერილი, რომელშიც ავტორი საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის დღევანდელი ადგილსამყოფელის საკითხით დაინტერესებულ მკითხველს ახალ სკანდალურ ვერსიას აწვდის. მისი თქმით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი თურმე არ გამორიცხავს და პარლამენტართა წინაშეც განუცხადებია, რომ „საქართველოს ხელისუფლების მიერ ტერაქტის ორგანიზებაში დადანაშაულებული გიორგაძე შეიძლება გრაჩოვის აგარაკზე ცხოვრობდეს".

ყოველივე ამას კი მოსდევს ავტორისეული ვარაუდების „ფეიერვერკი", რომელშიც პატივცემულ ჟურნალისტს აშკარად ღალატობს ზომიერებისა და რეალობის გრძნობა.

იგორ გიორგაძის რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის აგარაკზე ყოფნის თაობაზე, ეკუთვნის ერთ-ერთ ქართველ პარლამენტარს, რომელმაც საკომიტეტო მოსმენაზე საქართველოს თავდაცვის მინისტრისაგან მიიღო კიდეც სათანადო პასუხი.

ასე რომ, ჟურნალისტმა აკაკი მიქაძემ, რომელმაც თავი არ შეიწუხა სიმართლის გასარკვევად, დეზინფორმაცია მიაწოდა გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" მკითხველებს.

რეპლიკა



ხარის მოთვინიერება თუ გსურს, რქაში უნდა სწვდეთ!

ჩვენთვის ცნობილი გახდა მართლაც კურიოზული (კიდევ კარგი, ტრაგიკულად რომ არ იქცა) ფაქტი: ამ დღეებში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, რკინიგზის საავადმყოფოს გვერდით მდებარე სამშობიარო განყოფილებასთან, პირდაპირ „სასწრაფოს" მანქანაში იშვა თბილისელი. მიუხედავად მძღოლის დიდი ძალისხმევისა, მანქანამ ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილს და იცით რატომ? იმ ტერიტორიაზე (რკინიგზის სადგურიდან დაწყებული „დიდ ბაზრობამდე") მჭიდროდ ფეხმოკიდებულმა „ტიქურმა" ბაზრობამ, აქ არსებულმა ქაოსმა და ჩახერგილმა მანქანებმა „საიმედოდ" გადაუღობეს გზა მელოგინეს.

ღმერთმა უშველოს, დედა ნამდვილად საღ-სალამათი ყოფილა, თორემ...

თბილისელებს მოეხსენებათ დედაქალაქის მესვეურთა გაბედული განცხადებები იმის შესახებ, რომ ახალი წლიდან დაიწყებოდა წესრიგის აღდგენა ქალაქის „საბაზრო" წერტილებში — აიღებდნენ კომერციულ ჯიხურებს, კატეგორიულად აკრძალავდნენ ველურ ბაზრებს, ალებ-მიცემობის დიდ თუ მცირე ოაზისებს.

რომ ვთქვათ, ყინული არ დაძრულა, არ ვიქნებით მთლად მართალნი. დაიძრა, მაგრამ პირველი სუსხი რატომღაც შეაფრქვია რუსთაველის გამზირზე თუ კოსტავას ქუჩაზე ჟურნალ-გაზეთებითა და წიგნებით მოვაჭრე „წვრილფეხობას".

ხომ არ აჯობებდა, რომ წესრიგის აღდგენა დაეწყოთ სწორედ იმ ადგილებიდან, სადაც მსუქანი ლოქოები და მსხვილ-მსხვილი ზვიგენები ნადირობენ? ვთქვათ, იგივე ყოფილი ორჯონიკიძის ქუჩაზე ნახსენები ადგილიდან. ანდა, თუნდაც დიღმის მასივის მე-2 და მე-3 კვარტალების წინ, გაზონებში რომ გალაღებულა ათობით მექიშურე „კომერსანტი".

სიტყვამ მოიტანა და, დიღმის მასივის „საკოლმეურნეო" ბაზარი გაგვახსენდა. მისასვლელთან არსებულ ქაოსზე რომ არაფერი ვთქვათ (თუმცა, რატომ არ უნდა ვთქვათ?), დიდ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ამ „ჩაჯიხურებულ" ჩახერგილ ადგილზე, სადაც ათასობით დიღმელი მოძრაობს, ვიღაც ჭკუისკოლოფ ბიზნესმენს ზედ ტროტუარზე ბენზინის გასამართი სადგური გაუხსნია, გვერდით კი სისტემატურად დგება თხევადი გაზით მოვაჭრე უზარმაზარი ავტოცისტერნა.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა უბედურება შეიძლება დატრიალდეს სულ მცირე წინდაუხედაობის, თუნდაც უმისამართოდ მოსროლილი სიგარეტის ნამწვის გამო?

ასე რომ, თუ დიდი და საშური საქმის გაკეთება გვსურს, თავიდანვე უნდა ვწვდეთ აწყვეტილ ხარს. კუდში კი არა, — რქაში.

ანზორ ბასილაია.

კარიკატურა მიზანში



— შეხედე, ერთი, რა გაჭიმული მიდის, წინათ ჩემსავით სპეკულიანტი იყო „დეზერტირის" ბაზარში, ახლა „ბიზნესმენს" ეძახიან.

მხატვარი **ედუარდ ამბოკაძე.**

ხსოვნა

გიორგი პაიჭაძე

ქართულმა ისტორიოგრაფიამ მძიმე დანაკლისი განიცადა. სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი **გიორგი (გიგა) გიორგის ძე პაიჭაძე.**

გიორგი პაიჭაძე, ახალგაზრდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში 1962 წელს, მანამდე თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ, სახელმწიფო მმართველობის აპარატში მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე.

პროფესორი გიორგი პაიჭაძე მრავალი წლის მანძილზე წარმართავდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესწავლის რთულ პრობლემას და მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით, პატიოსნებით ყოველთვის ახერხებდა მეცნიერული კეთილსინდისიერების ზომის შენარჩუნებას. ფართო იყო მეცნიერის კვლევაძიების არეალი. მისი მეცნიერული ინტერესების სფერო, გარდა რუსეთ-საქართველოს რთული ისტორიული ურთიერთობის კარდინალური მიმართულებისა, მოიცავდა წყაროთმცოდნეობის საკითხებს, სპეციალური შრომა მიუძღვნა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს, ლექსიკოგრაფსა და მეცნიერს ვახტანგ VI-ს.

1984 წელს გიორგი პაიჭაძეს XVII-XVIII ს.ს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისადმი მიძღვნილი შრომებისათვის მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

განსაკუთრებული სიყვარული, გარჯა ჩააქსოვა ვალმოხდილმა მამულიშვილმა ავტორთა შესანიშნავი კრებულის „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგიის" გამოცემის საქმეს.

ეჭვი არ არის, გიგა პაიჭაძის გარდაცვალება კარგა ხნით მაინც აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის, კერძოდ, საქართველო-რუსეთის მრავალმხრივი ისტორიული ურთიერთობების პრობლემატიკის შესწავლის საქმეში, რამდენადაც მეცნიერი თავის შემოქმედებითი მუშაობის ზენიტში იმყოფებოდა და მის მიერ დასახული არაერთი სამომავლო სამეცნიერო გეგმა განუხორციელებელი დარჩა. აუნაზღაურებელია გიგა პაიჭაძის გარდაცვალება მისი ოჯახისათვის, მეგობრებისათვის, კოლეგებისათვის, და საერთოდ, ქართველი საზოგადოებისათვის, რამდენადაც იგი იყო არა მხოლოდ ერუდირებული მეცნიერი, ქართული საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულების მეთაური, არამედ, ჭეშმარიტად კარგი მეუღლე და მზრუნველი მამა, კეთილგანწყობილი და გულისხმიერი მეგობარი, ნამდვილი ინტელიგენტი. მისი საზოგადოებრივი ინტერესების თვალსაწიერი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამეცნიერო საქმიანობით.

გიგა პაიჭაძე ფართო განათლების ადამიანი იყო და კარგად იცნობდა როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურას, ხელოვნებას, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იგი პროფესიონალის დონეზე ერკვეოდა და აფასებდა მუსიკას, კერძოდ, საოპერო ხელოვნებას. ურთიერთობაში იგი ობიექტური, სამართლიანი და პრინციპული იყო და ეს არ უშლიდა ხელს, რომ ამავე დროს, მისი ურთიერთობა ადამიანებთან საერთოდ, და განსაკუთრებით მეგობრებთან, ყოველთვის კორექტული და ფაქიზი ყოფილიყო. მისთვის დამახასიათებელი კეთილი იუმორი ყოველთვის თბილ და კარგ განწყობილებას ქმნიდა ყველგან — სამეცნიერო საბჭო იქნებოდა ეს, თუ მეგობრული თავყრილობა.

რა თქმა უნდა, გიგა პაიჭაძის გარდაცვალება უდიდესი მწუხარებაა მისი ოჯახისათვის, მაგრამ მისი მეგობრებისთვის და კოლეგებისთვისაც ფრიად ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ამიერიდან მათ გვერდით აღარ იქნება პროფესიონალი მეცნიერი, თბილი და კეთილი ადამიანი, რომლის მსუბუქი იუმორი, სიცოცხლისადმი სიყვარული, ენერგია და ოპტიმიზმი მათზედაც გამამხნევებლად მოქმედებდა.

პროფესორმა გიორგი პაიჭაძემ საქმით დაამტკიცა დიდი სიყვარული მშობლიური მიწისა და მშობელი ხალხისადმი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება; ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი; საქართველოს საისტორიო საზოგადოება.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას, ცენტრალური ჰოსპიტლის მთელ კოლექტივს, იმ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, კერძო პირებს, ვინც გაიზიარა გენერალ-მაიორ ალექსანდრე ფილიპეს ძე რამიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის მწუხარება, მოვახსენებთ გულწრფელ მადლობას.

ალექსანდრე რამიშვილის ოჯახი.

ხსოვნა

ლევან აფრიდონიძე

გარდაიცვალა დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, შრომის ვეტერანი, სამამულო ომის მონაწილე **ლევან ილიას ძე აფრიდონიძე.**

დაიბადა 1912 წელს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოსაფხვრელად, განაწილებით მუშაობდა აჭარის სკოლებში.

1936 წელს წარჩინებით დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო განყოფილება და ამავე წელს გაანაწილეს როსტოვის ოლქში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა ქალაქებში სპეციალობით.

1937 წლიდან როსტოვშივე მუშაობა დაიწყო სახელმწიფო უშიშროების სისტემაში, ხოლო 1938-63 წლებში — მუშაობა განაგრძო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სისტემაში სხვადასხვა თანამდებობებზე.

თადარიგში გასვლის შემდეგ მუშაობს „საქსახშახტპროექტის" სისტემაში, დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

ყველგან, სადაც კი უმუშავია, ბატონი ლევანი, გამოირჩეოდა საუკეთესო პროფესიული თუ ადამიანური თვისებებით, უმაღლესი პასუხისმგებლობით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც, საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა.

შესანიშნავი ხელმძღვანელის, უღალატო მეგობრის, ღირსეული მამულიშვილის ლევან აფრიდონიძის ხსოვნა მარად დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა და ღირსეულ პატივსაც მიაგებდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის მრავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობის კათედრა ღრმა სამძიმარს უცხადებს კათედრის პროფესორს, კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის პირველ მოადგილეს, ნოდარ ხარატიშვილს დედის
ქეთევან ჟუღარაძის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროს კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა მინისტრის პირველი მოადგილის, ნოდარ ხარატიშვილის დედა
ქეთევან ჟუღარაძე-ხარატიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტელეკომის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა
ქეთევან ჟუღარაძე ხარატიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ზურაბ ლალიაშვილს დედის
მარგარიტა რაფაელის ასულ მამულაშვილის
გარდაცვალების გამო.

მამა დავით ბატიაშვილი, დედა ნუნუ ნოზაძე, და ეკა ბატიაშვილი, სიძე დავით კაპანაძე, მამიდა, ბიძა, დეიდა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზაზა დავითის ძე ბატიაშვილი
პანაშვიდი 18, 19 I, დაკრძალვა 20 I, 1 საათზე, ქ. ლაგოდეხი, მეგობრობის ქ. № 13.

მეუღლე თინა ჯავახიშვილი, შვილები დათო, ალიკო, რძლები მარინა ხეჩუაშვილი, ბელა წერეთელი, შვილიშვილები თინიკო, ალიკო, დათუნა, ანუკი, გიორგი, და პაპა მენაბდე, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ცოლისძმა გაიოზი, ცოლისდა ლამარა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვალერიან ამბაკოს ძე გონაძე
პანაშვიდი 16, 17 I, 3 ს., გამოსვენება 18 I, 2 ს. ვაჟა-ფშაველას გამზ. III კვარტ. კორპ. 20, 1 სადარბაზო.

შვილები ნოდარ, ნინო ხარატიშვილები, შვილიშვილები მაკა, ქეთინო, გიორგი, შვილთაშვილები ნინო, ქეთინო, რძლები ლია ხარატიშვილი, დოდო ლაშხი, სიძეები ვალოდია, იანი, სერგო, ძმისწულები ქეთინო, ნუნუკა, მაზლიშვილები ირაკლი, თამარ, მერი, ზურაბ, ლევან, დათო ხარატიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ქეთევან სერგოს ასული ჟუღარაძე-ხარატიშვილი
დაკრძალვა 18 I, 2 ს. ფანასკერტელის ქ. № 19 (იყალთოს გორა), III სადარბაზო.

შვილი ოთარ დადიანი, ძმისწულები ვარლამ, ნუგზარ დადიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ექიმი
ალექსანდრე (კიტუ) ვარლამის ძე დადიანი
გამოსვენება 16 I, 2 ს. გალაკტიონ ტაბიძის 24.

მეუღლე ეკა, შვილი მაკუნა, მამა ირაკლი, დედა მაყვალა, სიდედრი ქეთინო ფიჩხაძე, სიმამრი ანზორ დავარაშვილი, დები ირმა, თამუნა, სიძეები თამაზ შოთაშვილი, ზებიკ თეთრაშვილი, ბაბუა ილია ფიჩხაძე, ბიძები სიმონ ბინიაშვილი, მალხაზ ალელიშვილი, მამიდა რიტა ბინიაშვილი, დეიდები როზა მანაშეროვა, ეთერ ბუზუკაშვილი, ზოია ფიჩხაძე, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
დავით ირაკლის ძე ბინიაშვილი
პანაშვიდი 16, 17 I, 4 ს. გამოსვენება 18 I, 1 ს., მოცკევრის 7.

ნომრის მორიგე რედაქტორი ალმაზ ახლაწიშვილი.

გამომცემელი „შპს პრესა"
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66454, ტელ.: 99-73-24.
მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.